# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 24 მაისი 2007 №116 (3039) ფასი 50 თეთრი


# კა-ხა-ხა!

## მილანომანია ჩვენთვის კახამანია



UEFA UNDER 19 CHAMPIONSHIP — UEFA UNDER 19 EUROPEAN CHAMPIONSHIP

# პორტუგალიას ვერ მიართვეს. სამწუხაროდ, ვერც გოლი

## პორტუგალია 0:0 საქართველო

**პორტუგალია:** რუი პატრისიუ, ლუის პორტილია, მიგელ გრანია, დანიელ კარიუშუ, კარლუშ ალვეში, ჟოაუ მარტი, ანდრე კასტრო (ტიაგუ ფერნანდესი), დანიელ კანდიში (ორლანდუ სა), რუი პედრუ, ბრუნო პერეირინია, ფაბიო კოენტარიუ (ჟორჟე მონტეირუ)

**საქართველო:** თევდორაძე, თომაშვილი, ხიდეშელი, სანაია, განუგრავა, ბუალავა, წინამძღვრიშვილი, მქედლიძე (გოცირიძე 37), ყენია, თარგამაძე (კვასხვაძე 84), ბენაშვილი

**გაფრთხილება:** წინამძღვრიშვილი, გოცირიძე, ბენაშვილი, განუგრავა

**მსაჯი:** სვენ-ოდვარ მოენი (ნორვეგია)

**გუშინ** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა შოტლანდიის ქალაქ პერტში ევროპის 2007 წლის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდის პირველი მატჩი გამართა და პორტუგალიელ თანატოლებს უგოლოდ დაუზავდა.

ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ჩვენებურთაგან კარგი მომენტები ჰქონიათ ლევან ყენიასა და ორჯერ გიორგი ხიდეშელს. გოლის გატანა პირინეელებსაც მართებდათ, თუმც ორჯერ რევაზ თევდორაძემ ივარგა, ერთხელ კი ბურთი კარის ხაზიდან გულვერდ თომაშვილმა გამოიტანა.

კულმინაციური მომენტი წამატებული დროის მეოთხე წუთზე დამდგარა, როდესაც ყენიას უზადო პასით ნიკა კვასხვაძე მეკარესთან პირისპირ დაუტოვებია, თუმც ჩვენებურს პორტუგალიელისთვის ვერ უჯობნია.

„ჩემი ფეხბურთელების დღევანდელი თამაშით კმაყოფილი ვარ, ბიჭები კარგად გაისარჯნენ. აღსანიშნია ყველა რგოლის შეთანხმებული მოქმედება, განსაკუთრებით კი მეკარე თევდორაძეს, უშეცდომოდ მოთამაშე ცენტრალურ მცველებს თომაშვილს და სანაიას, ასევე ნახევარმცველ ყენიას გამოვარჩევდი" — უთქვამს ნამატჩევს ნაკრების მწვრთნელ ჰაინც ტოპმიოლერს.

ყენია პორტუგალიელთა მეორე მწვრთნელს, 90-იანი წლების ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს პაულუ სოუზასაც გამოურჩევია.

ჯგუფის მეორე მატჩში თურქეთმა შოტლანდია 2:1 დაამარცხა მურატ ჯეილანის და თეფთიკ ქოსეს გოლებით, სქოთთაგან კი კევინ მაკდონალდი გამოირჩა.

ხვალ ჩვენები შოტლანდიელებს, ხოლო თურქები პორტუგალიელებს შეხვდებიან. შეგახსენებთ: ჯგუფიდან მხოლოდ გამარჯვებული მოიპოვებს ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# თურქებმა გვარები გამოუშვეს

**გუშინ** თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ ქართველ კოლეგებს იმ მსაჯთა ვინაობა აცნობა, რომლებიც „ამერი" — „ზესტაფონის" თასის ფინალურ მატჩს მოემსახურებიან. მთავარი მსაჯი ფიფას არბიტრი ჯუნეით ჩაქირია. მას ფიფას ასისტენტები ბაჰათინ დურანი და ჯემ სათმანი მიეხმარებიან. მეოთხე მსაჯი ფიფას ქართველი არბიტრი გიორგი ვადაჭკორია იქნება. სხვათა შორის, უცხოელ, კერძოდ, ლიტველ მსაჯებს საქართველოს ჩემპიონატის მატჩები ადრეც, 1991 წელს უმსაჯიათ.

ფინალურ მატჩზე დასწრება მსურველებს 2, 3 და 5-ლარიანი ბილეთებით შეეძლებათ. 2-ლარიანი ბილეთების მფლობელები იმ ფერის ტრიბუნებზე განთავსდებიან რა ფერისაც ბილეთი იქნება. 3 და 5-ლარიანი ბილეთები კი დანომრილი იქნება. ბილეთები გაიყიდება 25 მაისიდან და მისი შეძენა ეროვნული სტადიონის სალაროებში 11-დან 19 საათამდე შეგეძლებათ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

საქართველოს თასის
ყაზბეგის გათამაშების
ფინალი

26 მაისი ეროვნული სტადიონი

ამერი
VS
ზესტაფონი

www.pfl.ge

დასაწყისი 20:00 საათზე - ბილეთის ფასი 2. 3. 5 ლარი

მთავარი სპონსორი
ჯეოსელი GEOCELL

ოფიციალური სპონსორი
ფოლქსვაგენი VOLKSWAGEN

პარტნიორი
აქსისი

სპონსორები
BANK OF GEORGIA
I'm lovin' it

საინფორმაციო მხარდამჭერა
სარბიელი
ოლიმპი
FORTUNA 106,4 FM ფორტუნა
11×11
24



ეროვნული ჩემპიონატი დამთავრდა, თბილისის „ამერს" კი მთავარი მატჩი წინ აქვს: 26 მაისს საქართველოს თასის ფინალი ელის „ზესტაფონთან". ხუთი წლის კლუბისთვის ჩემპიონატში მესამე ადგილზე გასვლა ურიგო შედეგი ნაღდად არაა, მაგრამ „ამერს" უკმარისობის გრძნობა დარჩა — გლდანელთა თავკაცმა გიორგი ჩიხრაძემ გვითხრა, შეცდომები გვქონდა, რასაც მომავალში გავითვალისწინებთ და ყველა საფუძველი გვაქვს, გაისად უკეთეს შედეგს მივაღწიოთო.

ახლა კი მთავარი, აკი ვთქვით, 26 მაისია, შარშანდელი თასის ფინალის რიმეიქი. საქართველოს თასი „ამერის" ოფისში ბინადრობს, მაგრამ ჩიხრაძემ იცის, რომ მისი ერთი წლით შესანარჩუნებლად დიდი ბრძოლა მოუწევს.

# გიორგი ჩიხრაძე: დაივიწყე და მოიგე

— სეზონით დიდად კმაყოფილი არ ვარ, „ამერს" რეალურად მეტი შეეძლო, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ დასანანი ქულები დავკარგეთ და ჩემპიონობისთვის ბრძოლას ფაქტობრივად ფინიშამდე ოთხი-ხუთი ტურით ადრე ჩამოვშორდით — გვითხრა გიორგი ჩიხრაძემ — თუმცა „ამერისთვის" სეზონი ბოლომდე ჯერ არ დამთავრებულა. თასის ფინალი გვაქვს სათამაშო.

**— დასანანი ქულები დავკარგეთო, თქვით. რატომ დაიკარგა ეს ქულები?**

— იცით, ძნელია, როცა ორ ფრონტზე ერთდროულად თამაშობ, პრინციპული და დაძაბული მატჩები არ გაკლია, ამოსუნთქვის საშუალებაც არ გაქვს და ასეთ დროს ზოგს დისკვალიფიკაციის, ზოგსაც ტრავმის გამო თამაში არ შეუძლია. იძულებული ხარ, შემადგენლობაში გარკვეული კორექტივები შეიტანო, რასაც ყოველთვის სასურველი შედეგი არ მოაქვს.

— წლეულს საჩემპიონო შანსები „ბათუმთან" და „ბორჯომთან" ზედიზედ დაკარგული ქულების შემდეგ შეგიმცირდათ. შარშანაც თითქმის იგივე იყო, „ამერმა" წყალწაღებულ „ცხინვალს" ვერ მოუგო და პირველობისთვის ბრძოლაც იმ შეხვედრის მერე დაამთავრა...

— ვფიქრობ, რომ ეს გარკვეულ მომენტებში ზედმეტი თავდაჯერების ბრალი იყო, კონცენტრაცია დავკარგეთ, რაც მეტოქეებმა არ გვაპატიეს. ზოგადად, „ამერისთვის" სულ ერთია ხოლმე, ლიდერს ეთამაშება თუ ჩამორჩენილ გუნდს, ვცდილობთ, ბოლომდე და შესაძლებლობების ზღვარზე ვითამაშოთ, მაგრამ ეს ყოველთვის არ გამოგვდის და ზოგჯერ პირიქითაც ხდება — ლიდერებთან უკეთ გამოვიყურებით, აუტსაიდერებთან კი... თუმცა ამგვარი არითმია მარტო ჩვენი პრობლემა არაა. როგორც გითხარით, ხანდახან ისეთი ვითარება იყო, რომ სხვადასხვა მიზეზით ერთბაშად შვიდ-რვა ფეხბურთელი გვაკლდა. ზოგიც დისკვალიფიცირებული... ყველაფრის მიუხედავად კი მოედნების უფლება არ გვქონდა, მითუმეტეს ასეთ შემთხვევებში გვჭირდებოდა მაქსიმალური მობილიზება.

**— შარშანდელი სეზონის შემდეგ თქვენს გუნდში რა სასიკეთო ცვლილებები მოხდა?**

— კმაყოფილი ვარ, რომ ბიჭები ყოველ მატჩს ბოლომდე თამაშობენ და თუ გავიხსენებთ, ბევრი ისეთი მატჩიც გვქონდა, რომლებიც მეორე ტაიმში ან მოვიგეთ, ანაც ჩამორჩენილებს მოგების დიდი შანსი მოგვცემია. იგრძნობოდა, რომ „ამერი" შესვენების შემდეგაც საკმაოდ მოტივირებული იყო. ცხადია, როცა ამას ვლაპარაკობ, ერთ-ორ გამონაკლისს არ ვგულისხმობ.

**— ნაკლზე რას იტყვით?**

— ნაკლი და შეცდომები ჩვენივე უყურადღებობის შედეგია. სწორედ უყურადღებობის გამო მეტოქისგან რამდენჯერმე დავსჯილვართ, შემდეგ კი ფეხბურთელები ანერვიულებულან და თამაშიც არეულა. საიმედო თამაში დაცვაში და სიმშვიდე შეტევაში, აი, ეს გვაკლდა ყველაზე მეტად. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ თუ შეკრებებზე დავდივართ და მოსამზადებლად ჩინებული პირობები გვაქვს ხოლმე, მხოლოდ ამით მეტოქეს ვერ მოუგებ. ცხადია, ეს უპირატესობაა, კონკრეტულ სათამაშო ეპიზოდებში თუ უპასუხისმგებლოდ ითამაშე, ყურადღება გაფანტე და მოდუნდი, ამას არც ერთი მეტოქე არ გაპატიებს. ამიტომაც ყველა მატჩისთვის სრულად კონცენტრირებაა საჭირო.

**— მთლიანად ჩემპიონატზე რას იტყვით. ამაღლდა დონე?**

— კარგი ის იყო, რომ ჩემპიონობისთვის ერთბაშად 4-5 გუნდი იბრძოდა და ეს ბრძოლა ბოლო ტურებამდე გრძელდებოდა. იყო რეალური კონკურენცია. იყო საკმაოდ ბევრი მაღალი ხარისხის მატჩი და არა მხოლოდ „ამერის" მონაწილეობით. სხვა გუნდების მატჩებიც ვნახე და დავრწმუნდი, რომ ჩემპიონატის საშუალო დონემ აიწია. ნელ-ნელა ქომაგიც უბრუნდება სტადიონს. ცუდი კი ისაა, რომ უმაღლეს ლიგაში მატერიალურ-ფინანსურად ძალიან გაჭირვებული გუნდები თამაშობდნენ. ისინი რომ ასეთ დღეში არიან, თავის თავსაც ავნებენ და სხვა გუნდებსაც. ერთ თამაშში თავს დადებენ და მაქსიმუმს გააკეთებენ, მერე კი მოედანზე თითქოს სასიერნოდ გამოდიან.

**— წლეულს „ამერში" არის ისეთი ფეხბურთელი, რომელზეც ითქმის, აშკარა პროგრესი აქვსო?**

— დიახ, ასეთი სამი-ოთხი ფეხბურთელია. გარკვეული მიზეზების გამო, გვარებს აქ არ ჩამოვთვლი, ვიტყვი მხოლოდ, რომ მათი პროგრესი ჩემთვის სადავო არ არის. თუმცა წლეულს ისეთი ფეხბურთელებიც იყვნენ, რომლებსაც მეტი შეუძლიათ, ბოლომდე კი ჯერ ვერ გახსნილან. ერთმა შანსი უკეთ გამოიყენა, მეორემ — ნაკლებად.

**— საბოლოო სატურნირო ცხრილში ადგილები ლოგიკურადაა განაწილებული?**

— ამას ვერ გეტყვით, ან კი რატომ უნდა ვთქვა. რაც და როგორც მოხდა, უკვე მომხდარია. უბრალოდ, ჩემთვის ისაა საწყენი, რომ „ამერს" უფრო მეტი შეეძლო და მხოლოდ მესამე ადგილს დავჯერდით.

**— 26 მაისის ფინალზეც ვთქვათ, თასის შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე მოპოვებაო...**

— წინა ფინალი „ამერმა" მალევე დაივიწყა. თასის მოპოვებიდან რამდენიმე დღეში ის ფინალი უკვე ისტორია იყო. ზოგადად ფეხბურთში ასეა, თუ წარმატება გსურს, ძველი მალევე უნდა დაივიწყო და ბრძოლა თავიდან დაიწყო. „ამერი" ამ ფინალისთვის უდიდესი მონდომებით და ენთუზიაზმით ემზადება.

**— ფინალში „ამერისგან" რაიმე განსაკუთრებულ სიახლეს უნდა ველოდოთ?**

— მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იქნება. ერთი მატჩია და, ვფიქრობ, გარისკვა ძალიან ძნელია. ალბათ ამას იტყვიან ზესტაფონელებიც. თუმცა ცხადია, ვეცდებით, რომ ფინალში მეტოქეს რაიმე ისეთი შევთავაზოთ, რაც წარმატებას მოგვიტანს.

**კობა ინასარიძე**

# საქართველოს ჩემპიონატი 18 მიმოხილვა
## უმაღლესი ლიგა

„ოლიმპი“ პირველზე, „დინამო“ მეორეზე, „ამერი“ მესამეზე... ასე ჩაიწერება მეთვრამეტე ეროვნული ჩემპიონატის „საბუთებში“, მაგრამ რამდენი კარგი და რამდენი ცუდი მოხდა ამ სეზონში... დღეს იმაზე არ ვილაპარაკებთ, იმ თამაშში ბურთი ძელს რომ არ მოხვედროდა, იმ თამაშში მსაჯს აქეთ დასასტვენი იქით რომ არ დაესტვინა, იმ თამაშში ეს ფეხბურთელი ხაზს ცოტა შიგნით რომ წაქცეულიყო...



# მეთვრამეტის დანატოვარი: რიცხვები, კითხვები და ემოციები
## სიშიშვლესავით უხერხული სიშიშვლე



### ახალი კერა — რუსთავი

კარგად გაგვიგეთ: კორეის ნაკრები რომ 2002-ის მუნდიალის ნახევარფინალში გავიდა, ასეთ სიურპრიზს ფასი და ელფერი არა აქვს, მაგრამ ყველა ჩემპიონატს უხდება, ასე ვთქვათ, „ალალი სენსაცია“ — როცა საიდანღაც გამომხტარი გუნდი პროგნოზებს თავდაყირა აყენებს.

რუსთავის „ოლიმპი“ შარშან ამ დროს იდეაშიც არ იყო, ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვით ადრე შეიქმნა „თბილისისა“ და „ბათუმის“ ფეხბურთელების ბაზაზე და პირველივე წელს ჩემპიონი გახდა. საქართველოში ვერასოდეს გამოლევ ჩაწყობა-მაქინაციებზე ლაპარაკს, მაგრამ ფაქტების გარეშეც ვერაფერს დაამტკიცებ — ფაქტი კი ისაა, რომ ქალაქ რუსთავს პირველად მოევლინა ჩემპიონი გუნდი. სწორედ ესაა საინტერესო.

რუსთავის „ფოლადზე“ გულშემატკივარი მასობრივად არ დადიოდა, მხოლოდ ბოლო ტურებში, გადამწყვეტ მატჩებში იგრძნო „ოლიმპმა“ მაყურებლების მხარდაჭერა. კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რუსთავში ბავშვთა ფეხბურთი უნდა წამოვწიოთო და, თუ ასე იქნება, ამას რა სჯობია.

### სადამდეც საბანი გაგწვდება

გაამართლა თუ არა 14-გუნდიანმა ჩემპიონატმა? პროფლიგას ასეთი მოსაზრება აქვს და ჩვენც ვეთანხმებით, რომ უმაღლესში გუნდების რაოდენობა მათ რესურსებზე უნდა იყოს დამოკიდებული, ანუ საბანი სადამდეც გაგწვდებაო, ხომ გაგიგიათ. დარწმუნებული ვართ, 10-გუნდიან ჩემპიონატშიც გამოერევა ერთი-ორი ღარიბი და კონკურენციის უუნარო გუნდი, მაგრამ ახლა სხვა კუთხით შევხედოთ: „ოლიმპი“ ხომ სწორედ იმით გახდა ჩემპიონი, რომ ხუთეულს ქვემოთ მყოფ არც ერთ გუნდთან ქულა არ დაუკარგავს, როცა „ზესტაფონმა“, „ამერმა“ და „ვიტ ჯორჯიამ“ ასეთებთან რამდენჯერმე წაიფორხილეს. ჰოდა, როგორ გინდა, იგივე „მერანს“ უმაღლესლიგელობა დააყვედრო, როცა ლიდერებთან მატჩებში არ დამდგარა და იბრძოლა.

### ერთჯერადი 12 ათასი საქმეს არ შველის

„ჩვენი ჩემპიონატის უმთავრესი პრობლემა უხარისხო მინდვრებია. ასეთ მოედანზე ფინტს ვერ გააკეთებ და ბურთს ნორმალურად ვერ გააჩერებ“ — გვითხრა ამას წინათ „სიონის“ ვიტალი დარასელიამ.

ეროვნულ სტადიონზე სათამაშოდ კლუბები საკმაოდ სოლიდურ ქირის ფულს ვერ და არ იხდიან და რჩება თითო-ოროლა სტადიონი, სადაც მინდორს მინდორი ეთქმის. ხასხასა ბალახი, სტადიონის შესახედაობა და მაყურებლები — ეს უხდება და ეს ალამაზებს ფეხბურთს, რაც საქართველოს ჩემპიონატს ძალიან აკლია, თორემ ამას წინათ ჰოლანდიის ერედივიზიონის ერთ-ერთ თამაშს ვუყურეთ და „ოლიმპ“ — „დინამოს“ სხვა ვერაფრით სჯობდა.

ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდის მატჩზე ასამდე გულშემატკივარი მოვიდაო — გაკვირვებულმა გვითხრა ინტერვიუში „დინამოს“ ჩეხმა თავკაცმა დუშან უჰრინმა. მაყურებელს კი მარტო კარგი თამაშით ვერ მოიზიდავ, სტადიონიც უნდა ვარგოდეს. და, მოდით, მხოლოდ „ოლიმპ“ — „დინამოზე“ 12 000 კაცის მოსვლით თავს ნუ დავიმშვიდებთ, თითქოს გულშემატკივარი ეროვნული ჩემპიონატისკენ შემობრუნდა — მოვიდოდა კი ამდენი მაყურებელი, დასწრება უფასო რომ არ ყოფილიყო?

### ჩეხის ბოლომდე ვერაჩეხილი

გიორგი შაშიაშვილი, ვიტალი დარასელია, მირზა მერლანი, რევაზ გოცირიძე, ლევან სილაგაძე, ლევან კორღალიძე, ლადო კაკაშვილი, პლუს „ზესტაფონისა“ და „დინამოს“ მართლაც კარგი უცხოელები — ესენი შუა სეზონში შეემატნენ საქართველოს ჩემპიონატს და, მართალია, მათი შემოერთება უცხოეთში ყოჩაღი თამაშით არ ყოფილა „შემაგრებული“, მაგრამ მაინც აღსანიშნავი ფაქტია, რომ აქ ჩამოვიდნენ.

ყველაზე ხმაურიანი კი, ცხადია, დუშან უჰრინის „დინამოში“ გათავკაცება იყო. კაცმა, რომელმაც ჩეხეთის ნაკრები ევრო 1996-ის ფინალში გაიყვანა, „დინამოც“ მალე დაალაგა, განსაკუთრებით კი მეორე წრეში, როცა თბილისელებმა 13 თამაშიდან 11 მოიგეს და ორი ფრით დაამთავრეს. მაგრამ სწორედ იმ ორიდან ერთში ვერმოგებამ ოდნავ დააკნინა უჰრინის მიღწევა — ჩეხმა რუსთაველ საჩემპიონო ჯახში ვერ იმარჯვა.

### შეკრება თუ ჩემპიონობა?

საქართველოს ჩემპიონატი იმითაცაა უცნაური, რომ შეკრებაგაუვლელი გუნდი გადის პირველ ადგილზე. „ზესტაფონმა“, „დინამომ“, „ამერმა“ და „ვიტ ჯორჯიამ“ ბლომად ფული დახარჯეს უცხოურ შეკრებებზე, „ოლიმპს“ კი საქართველოდან ცხვირი არ გაუყვია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ თანამეგობრობის თასზე „სიონს“ ათხოვა რამდენიმე ფეხბურთელი.

ისმის კითხვა: საჭიროა უცხოური შეკრება? იცოცხლეთ, საჭიროა, მაგრამ პარადოქსი კი გამოდის და... პარადოქსი კი ან ნახევარი სიმართლეა, ანაც სიმართლენახევარი, ასე რომ, გინდ ირწმუნეთ, გინდ არა „ოლიმპის“ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილის სიტყვები, ჩვენ ასე ვარჩიეთ, უცხოეთში წასასვლელი ფული დავზოგეთ და სელექციაზე ვიმუშავეთო.

სხვათა შორის, „ოლიმპი“ პირველი მერცხალი არ არის ამ საქმეში: ორი წლის წინ „ტორპედო“ ლამის ჩემპიონი რომ გახდა, ისიც უბრად იყო უცხოურ შეკრებებზე, ის კი არა, საქართველოშიც ვერ ვარჯიშობდა ხეირიანად...

### საქართველოს ჩემპიონატი როგორც ექსპორტიორი

არც კახა კალაძე დაბადებულა იტალიაში და არც ლევან კობიაშვილი გერმანიაში. ისინიც და ჩვენი სხვა ლეგიონერებიც საქართველოს ჩემპიონატში გაიზარდნენ. დღეს აქედან პირდაპირ ევროგრანდში წასვლა ოცნებებში ფრენაა. ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო მცირდება ეროვნული ჩემპიონატიდან ფეხბურთელების ღონიერ-სახელიან კლუბებში გადასვლა, მაგრამ, აბა, დაველოდოთ... რამდენიმე საინტერესო ტრანსფერი მზადდება.

შოთა გრიგალაშვილი და ბექა გოცირიძე მეორებუნდესლიგურ „აუე“-ში იყვნენ გასინჯვაზე, ნიკა გულაშვილი „ბრიუგეში“, ლევან ყენია „ლევანტესა“ და „შალკეში“, გიორგი განუგრავა „პანათინაიკოსში“. საქართველოში ნიჭიერი ბიჭები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან, ამადაც ღირს ჩვენი ჩემპიონატის ყურება და მთლად ნუ გავაშიშვლებთ ტრიბუნებს...

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველოს ჩემპიონატი
## პირველი ლიგა
## 34-ე ტური

გაგრა 2:1 მგლები
სპარტაკი 1:3 ვიტ ჯორჯია 2
ჩიხურა 2 2:3 გურია
ამერი 2 4:2 მეშაქრე
რაჭა 7:2 ოლიმპი
ზესტაფონი 1:3 მეშახტე
მესხეთი 3:0 სამტრედია
ნ. დინამოელი 3:1 მაღაროელი
მერცხალი 1:0 დინამო 2

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგლები | 34 | 24 | 4 | 6 | 58:24 | 76 |
| მესხეთი | 34 | 22 | 6 | 6 | 70:19 | 72 |
| გაგრა | 34 | 18 | 6 | 10 | 52:36 | 60 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 34 | 17 | 7 | 10 | 60:29 | 58 |
| მაღაროელი | 34 | 16 | 9 | 9 | 49:32 | 57 |
| ამერი 2 | 34 | 15 | 12 | 7 | 58:36 | 57 |
| მეშაქრე | 34 | 15 | 10 | 9 | 45:36 | 55 |
| ნ. დინამოელი | 34 | 16 | 4 | 14 | 50:46 | 52 |
| მეშახტე | 34 | 15 | 6 | 13 | 53:40 | 51 |
| ოლიმპი (თბ) | 34 | 14 | 8 | 12 | 52:47 | 50 |
| სამტრედია | 34 | 13 | 8 | 13 | 35:43 | 47 |
| ზესტაფონი 2 | 34 | 10 | 10 | 14 | 34:40 | 40 |
| რაჭა | 34 | 9 | 12 | 13 | 41:49 | 39 |
| დინამო 2 | 34 | 9 | 9 | 16 | 49:40 | 36 |
| გურია | 34 | 8 | 7 | 19 | 36:76 | 31 |
| ჩიხურა 2 | 34 | 8 | 5 | 21 | 28:67 | 29 |
| სპარტაკი | 34 | 7 | 6 | 21 | 19:51 | 27 |
| მერცხალი | 34 | 3 | 5 | 26 | 21:95 | 14 |

# ჩიხურა — გაგრა: ვისი აიწონება, ვისი დაიწონება?

უმაღლესი ლიგის დასრულებიდან სამი დღის თავზე სეზონი პირველ ლიგაშიც დამთავრდა.

რაღა იყო გასარკვევი? პირველ რიგში, მესამე ადგილოსნის ვინაობა, რაკიღა პირველი ლიგის მესამე გუნდს უმაღლესში აღზევების შანსი აქვს.

ბოლო ტურის წინ მესამეობისთვის „გაგრა“ და ჭიათურის „მაღაროელი“ იბრძოდნენ, უკეთესი შანსი კი გაგრელებს ჰქონდათ — „უკვე ჩემპიონ „მგლებისთვის“ შინ უნდა მოეგოთ, ჭიათურელები კი ცალკე საკუთარი მოგების, ცალკეც ზუგდიდელთა ყოჩაღობის იმედად უნდა ყოფილიყვნენ.

ბოლო ტურში მოულოდნელი არაფერი მომხდარა — „გაგრამ“ მოიგო და ჭიათურელთა შედეგსაც აზრი დაეკარგა. „მაღაროელმა“ თავისი თამაში სულაც წააგო.

ერთი სიტყვით, ჩემპიონატში ერთი თამაშიღა დარჩა — „ჩიხურასა“ და „გაგრას“ გადათამაშება, რომელსაც ბოლნისი უმასპინძლებს და რომლის გამარჯვებულიც მომდევნო სეზონში უმაღლეს ლიგაში ითამაშებს.

# სლოვენიელები იბერიელთა შუაში

5 ივნისს საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ შეხვედრაში ესპანეთის ნაკრებს უმასპინძლებს.

ამ მატჩს სლოვენიელები განსჯიან: მსაჯი რობერტ კრაიჩნიკ, თანამსაჯები ბოიან ული, რობერტ ზირშტაინი; მეოთხე მსაჯი რობერტო პონისი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ბრაიან ლაუდრუპი



გატუზო და გატუზო




# წაუთაქეთ ტასმანიელ ეშმაკს როგორ ტყეპდა გესქოინი გატუზოს

**პოლ გესქოინს** რინო გატუზოს გადამეტებული ენერგიის დასაცხრობად ერთი უებარი ხერხი ჰქონდა — ალიყური.

ვინმე ხომ არ დაიბნა? არა, ბატონებო, დასაბნევი აქ არაფერია: გატუზო 19 წლის ყმაწვილი რომ იყო, გესქოინი „გლაზგო რეინჯერსის" მეტრი ბრძანდებოდა და პატარა იტალიელს, როგორც უმცროს და თანაც „შუშპარა და მჩქეფარე" თანაგუნდელს, მამა-შვილურად წაუთაქებდა ხოლმე.

„აიბროქს პარკის" კიდევ ერთი იმჟამინდელი ვარსკვლავი, ცნობილზე ცნობილი დანიელი ბრაიან ლაუდრუპი:

„ათი წლის წინ რომ გეთქვათ, გავა წლები და, გატუზო „მილანის" ერთ-ერთ წამყვან ვარსკვლავად იქცევაო, გულიანად გავიცინებდი. ის ბრაზიანი, ჯავჯღანა ბავშვი იყო. თავიდან ინგლისური არ იცოდა და იტალიურად ბუზღუნებდა, ვარჯიშებისა და თამაშების დროს კი ტასმანიელ ეშმაკად იქცეოდა. ხანდახან, დასაწყნარებლად და ჭკუაზე მოსაყვანად გაზა მართლაც წაუთაქებდა ხოლმე, ოღონდ, არ იფიქროთ, რომ ის ასე მხოლოდ გატუზოს ექცეოდა. გაზა ყველას უთაქებდა. მოკლედ, გატუზო გვარიანად უხეში ვინმე ბრძანდებოდა, მაგრამ ყველა ნატკენისა და ჩარტყმულის მიუხედავად, მაინც კმაყოფილი ვარ, ის ჩემი თანაგუნდელი რომ იყო".

აი, ასე იგონებს დანიელი ლეგენდა ჩემპიონთა ლიგის გუშინდელი ფინალის მონაწილეს და პრინციპში ეს მოკლე წერილი აქაც შეგვეძლია შევწყვიტოთ, თუმცა მაინც სჯობს, კიდევ ორ საკითხზე გავამახვილოთ თქვენი ყურადღება...

პირველი ტასმანიელი ეშმაკია — ისე ხომ არ დაგტოვებთ, რომ არ გითხრათ, რა ჯანდაბაა ეს.

ტასმანია ავსტრალიის შტატია, კუნძული გახლავთ მწვანე კონტინენტის სამხრეთით, 200 კილომეტრში. რაც შეეხება იქაურ ეშმაკს, ის ჩანთოსანი ცხოველი გახლავთ.

ახლა კი მეორე და უფრო საჩოთირო საკითხი: თქვენ ამ სიტყვებს რომ კითხულობთ, უკვე იცით, გახდა თუ არა ჯენარო გატუზო ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული. ახლა ეს ამბავი ბრაიან ლაუდრუპმაც იცის, მაგრამ ქვემოთ მოყვანილ სიტყვებს რომ ამბობდა, არ იცოდა:

„გატუზო მეომარია. მართალია, ის ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი არ არის, მაგრამ ბრძოლისუნარიანობითა და თავდადებით დიდ პატივისცემას იმსახურებს. დღეს მსოფლიოში მის პოზიციაზე უკეთესის პოვნა ძნელია და საერთოდაც, ფეხბურთის უკეთესი მომავლისთვის მინდა, „მილანმა" „ლივერპული" დაამარცხოს. მინდა, მწვერვალზე კვლავ „შავ-წითლები" ვიხილო".

იხილა?

**ბაჩუნა ძიდია**

# ძალიან საშიში ამბავი

**...ის** ტაქსი სახლამდე კარგა ხნით ადრე შეამჩნია. თავიდან მორიგი, თავის გზაზე მიმავალი მანქანა ეგონა — ასეთები ხომ ქალაქში უამრავია — მაგრამ მერე შეამჩნია, რომ სდევდა. საითაც მან შეუხვია, იქით შეუხვია ტაქსიმაც. შუქნიშნებზე მის სიახლოვეს დგებოდა, სიჩქარეს მისი სიჩქარის მიხედვით ცვლიდა.

თითქმის სახლთან მისულს სხვა გზა არ ჰქონდა — ბოლოს და ბოლოს, სხვაგან გაიქცეოდა — სვლა შეანელა და გაჩერდა. გაჩერდა ტაქსიც. აქედან სახლამდე 50 მეტრიღა რჩებოდა. ის დაძაბული იყურებოდა სარკეში, გულისცემა გაუხშირდა...

ამის შემდეგ რაც მოხდა, თავად ასე იგონებს:

„უეცრად ტაქსის კარი გაიღო. ხელი შიშმა დამრია. ბნელოდა, სიბნელეში კი არასდროს იცი, რა მოხდება. სანამ ფიგურას გავარჩევდი, გული თითქოს გამიჩერდა კიდეც".

მაგრამ, მიუნხენის „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ვარსკვლავი ბასტიან შვაინშტაიგერი გადარჩა, ტაქსიდან ქერა, დიდმკერდა ქალი გადმოვიდა და მისკენ გაეშურა. უკვე ყველაფერი ნათელი იყო — მორიგი თაყვანისმცემელი, რომელიც ოთახში შენთან ერთად შემოძრომას ცდილობს.

— შეიპატიჟეთ ის ქალბატონი შინ? — ჰკითხეს ბასტიანს ჟურნალისტებმა.

— არა — მიუგო მან და, ალბათ, გულწრფელიც იყო.

მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის შემდეგ მისი და სხვა ფეხბურთელების პოპულარობა ყოველგვარ საზღვარს გადასცდა, ქალები კი...

საერთოდ, გეცოდინებათ, შვაინშტაიგერი კარგა ხნის ერთგულ მეგობარ დანიელას დასცილდა და ახალ სიყვარულს ელის.



დანიელასთან დაშორების შემდეგ ბასტიანს მშვიდი ცხოვრება ენატრება

ოღონდ, გულის გახეთქვა სასურველი არ არის...

**ბაჩუნა ძიდია**

# ბრინჯაოს რომარიო

**1 000 გოლის** გამტან რომარიოს ძეგლს დაუდგამენ. ძეგლის ავტორი კი ბრაზილიელი მოქანდაკე სორი კორეა იქნება. ამჟამად კორეა თაბაშირისგან რომარიოს ასლს აკეთებს და შემდეგ ბრინჯაოსგან ჩამოასხამს. გამოქანდაკებულ ფეხბურთელს იმ სტადიონზე დააბრძანებენ, სადაც მე-1 000 გოლი გაიტანა.

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდო ტეიშეირამ განაცხადა, რომ რომარიოს ისეთივე მედალს გადასცემენ, როგორიც პელემ მიიღო 1969 წელს ათასი გოლის გატანისთვის. გარდა ამისა, ნაკრების მაისურასაც მიართმევენ წარწერით „1 000".

## პროკურატურის ფეხბურთი

**რუსეთის** გენერალურმა პროკურატურამ, შსს-მ და საფეხბურთო კავშირმა ერთობლივი ჯგუფი შექმნეს, ფეხბურთში დანაშაულის აღმოსაფხვრელად. ამის შესახებ პროკურატურის პრესსამსახურმა განაცხადა.

„შემოსული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ ხშირია მუქარა მწვრთნელების, ფეხბურთელების თუ მსაჯების მისამართით. ასევე მსაჯთა თუ მოთამაშეთა მოსყიდვის მცდელობა, საფეხბურთო აგენტების თაღლითობა, მაქინაციები ტოტალიზატორებში და შავი ფულის გათეთრების ფაქტები" — ნათქვამია განცხადებაში.

## უჩე უკვე

**„უელვას"** ნიგერიელი ფორვარდი უჩე იკეჩუკვუ „ხეტაფეში" გადავა. მან უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტს. 23 წლის ნიგერიელმა ამ სეზონში 8 გოლი და 5 საგოლე პასი მიითვალა. მისი ყიდვა მოსკოვის „სპარტაკს" და „მოსკვასაც" სურდათ.

## ატლეტიკო ირჩევს

**ესპანური** „ასის" ცნობით, მადრიდის „ატლეტიკო" შეტევას გააძლიერებს. მადრიდელთა სამიზნენი არიან შტუტგარტელი კაკაუ, რასინგელი ნიკოლა ჟიგიჩი და სელტელი ფერნანდო ბაიანო.

# იუტალანტა

**ბერგამოს** „ატალანტას" ლიცენზია არ მისცეს და ინტერტოტოს თასზე ვერ ითამაშებს. კლუბს ხუთი დღე აქვს აპელაციის შესატანად და თუ არაფერი გამოუვა, ინტერტოტოზე თამაშის უფლება „სამპდორიას" ან „უდინეზეს" მიეცემათ.

უკვე ცნობილია, რომ 2007-08 წლების ლიცენზიებს მიიღებენ: „ემპოლი", „მილანი", „იუვენტუსი", „ფიორენტინა", „ინტერი", „ლაციო", „პალერმო", „რომა", „პარმა" და „ტორინო".

ჯერჯერობით პრობლემები აქვთ „ასკოლის," „კატანიას", „კალიარის", „ლივორნოს", „რეჯინას", „კიევოს", „მესინასა" და „სიენას".

**კოკი კანდელაკი**

Copa Toyota Libertadores '2007

## ლიბერტადორესის თასი 2007

1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი

**ნასიონალი** (ურუგვაი) 2:2 **კუკუტა დეპორტივო** (კოლუმბია) (0:2)

1:0 გ. კასტრო (12), 1:1 ბუსტოსი (21), 2:1 ვ. დიეგო (85), 2:2 პახოი (90)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოლონიას პატრონი დაუსაჯეს



**იტალიური** „ბოლონიას" პრეზიდენტი ალფრედო კაცოლა ფეხბურთიდან 30 ნოემბრამდე მოკვეთეს. მიზეზი გასულ უქმეებზე „ბრეშასთან" მატჩში მომხდარი ინციდენტია.

„ბოლონიამ" ის მატჩი 0:1 წააგო, კაცოლა კი მსაჯების გადაწყვეტილებებით ისე აღელდა, რომ მინდორზე შეიჭრა და თავისი ფეხბურთელების მოედნიდან გაყვანა დააპირა, მაგრამ ცოტა ხანში ვითარება ჩაწყნარდა და შეხვედრა გაგრძელდა.

ამას კაცოლას საჯარო განცხადებები მოჰყვა, კალჩოპოლი არ დასრულებულა, უბრალოდ, მან სერია B-ში გადაინაცვლა, მსაჯებს ისევ ვილაცა მართავს, „იუვენტუსის", „ჯენოასა" და „ნაპოლის" პირდაპირ სერია A-ში გადაყვანა უნდათო და ასე შემდეგ.

„ბოლონიას" პრეზიდენტი 30 ნოემბრამდე დაისაჯა. „ბრეშასთან" მატჩის შესვენებისას იგი აგრესიულად იქცეოდა და ოფიციალურ პირებს შეურაცხყოფა მიაყენა. მეტიც, ის უნებართვოდ შეიჭრა მინდორზე და მატჩის ჩაშლა სცადა. ამის გამო შეხვედრა სამი წუთით შეფერხდა" — ნათქვამია სადისციპლინო კომიტეტის განცხადებაში.

ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღეს „ბოლონიას" ფეხბურთელებმა, კლაუდიო ბელუჩიმ და სტეფანო ტორიზიმ, ხოლო ემანუელი ფილიპინის ერთი შეხვედრის გამოტოვება მოუწევს.

ამასთანავე, კლუბს 17 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა.

**კოკი კანდელაკი**

# ბოლო ვინ არის?
## ლეგენდები სამპდორიას სკამზე

**გენუის** „სამპდორიას" მწვრთნელობის სურვილი კლუბის ყოფილმა ვარსკვლავმა პიეტრო ვერხოვოდმა გამოთქვა.

ვალტერ ნოველინო სეზონის ბოლო მატჩშიც გაუძღვება „სამპდორიას" და ხუთწლიანი მუშაობის მერე დატოვებს კლუბს.

ვერხოვოდს „სამპდორიას" მაისურით 358 მატჩი აქვს ჩატარებული, სულ კი სერია A-ში 562-ჯერ უთამაშია. მან კარიერა 2000 წელს დაასრულა.

ვერხოვოდმა „სამპდორიაში" 12 სეზონი გაატარა, თუმცა მისი სამწვრთნელო კარიერა ჯერჯერობით არცთუ წარმატებულია — იგი სერია C1-ში „კატანიას", სერია C2-ში „ფიორენტინა ვიოლას" და სერია B-ში „ტრიესტინას" თავკაცობდა, მაგრამ სამივეგან სეზონის შუაში მოხსნეს.



პიეტრო ვერხოვოდი

ახლახან გენუაში ახალი სტადიონის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა და ვერხოვოდმაც ამ ცერემონიაზე გააკეთა განცხადება: „ჩემი ოცნებაა, „სამპდორია" ახალი, საკუთარი სტადიონით და კარგი მწვრთნელით ვიხილო. მაგალითად, მე დიდი სურვილი მაქვს, გუნდი ჩავიბარო".

ამჟამად „სამპდორიას" მწვრთნელობის მთავარ კანდიდატად „რეჯინას" თავკაცი ვალტერ მაცარი ითვლება. გავრცელებული ცნობით, მასთან უკვე დაიწყო მოლაპარაკება.

„დღეს ვერხოვოდმა შემოგვთავაზა თავისი კანდიდატურა, რაც იმას ნიშნავს, რომ მასზეც დავიწყებ ფიქრს" — თქვა გენუელთა პრეზიდენტმა რიკარდო გარონემ.

კანდიდატთა შორის დასახელდა ჯანლუკა ვიალიც. „ანბანის მიხედვით ვიალი სიაში ერთ-ერთი ბოლოა — ღიმილით აღნიშნა გარონემ — ისე კი, ეს ინფორმაცია მეც პრესისგან შევიტყვე. ასე რომ, ვერაფერს გეტყვით".

**გიორგი კაკაბაძე**

# იაკინტა უკვე ბებერია. თანაც ქალბატონი...

**იტალიური** „გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, „იუვენტუსმა" უკვე მოაგვარა ვინჩენცო იაკინტას ტრანსფერის საკითხი. ტურინელები „უდინეზეს" 27 წლის თავდამსხმელში 8,5 მილიონ ევროს გადაუხდიან და ამჟამად „ასკოლიში" განათხოვრებული მიკელე პაოლუჩის კონტრაქტის ნახევარს დაუთმობენ.

გავრცელებული ცნობით, იაკინტა „ბებერ ქალბატონთან" ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

„ბიანკონერის" სპორტული დირექტორი ალესიო სეკო კი რომში იყო, სადაც „რომას" სპორტულ დირექტორ დანიელე პრადეს შეხვდა. მხარეებს არ უთქვამთ, რაზე ისაუბრეს, მაგრამ, პრესის აზრით, ეს ფილიპ მექსეშსა და კრისტიან კივუს უკავშირდებოდა.

„ბებერი ქალბატონი" „გლადიატორთა" ორივე ცენტრალური მცველით ყოფილა დაინტერესებული და მათგან ერთ-ერთის, პირველ რიგში მექსეშის ხელში ჩაგდება სდომებია.

„იუვეს" სხვა რგოლების გაძლიერებაც სურს და მას კვლავ მრავალ ფეხბურთელს უკავშირებენ, მაგალითად, ნახევარდაცვაში ლიონელ ალოუ დიარასა და ლივერპულელ მოჰამედ სისოკოს. ამბობენ, ტურინელები აქცენტს 22 წლის სისოკოზე აკეთებენ და მზად არიან, მასში 15-16 მილიონი ევრო გადაიხადონ.

რაც შეეხება თავდასხმას, აქ სხვებთან ერთად კვლავ არის ლაპარაკი კლაუდიო პიზაროზე. „ბებერ ქალბატონს" მიუნხენის „ბაიერნის" პერუელი ფორვარდი იმადაც უნდა, რომ იგი ერთ თვეში თავისუფალი აგენტი გახდება. პიზაროს „ჩელსი" და „რეინჯერსიც" ეპატიჟებიან.

**გიორგი კაკაბაძე**



ვინჩენცო იაკინტა „იუვენტუსს" მოურიგდა

## ვიდუკას ველით

**„მიდლსბროს"** სატრანსფერო გეგმები მარკ ვიდუკაზეა დამოკიდებული, რომელიც ახლა შვებულებაშია და მზეს ეფიცხება. ავსტრალიელ ფორვარდს კონტრაქტი დაუმთავრდა და გახანგრძლივებას არ ჩქარობს, კლუბი კი მის პასუხს ელის, რადგან, თუ დარჩება, ახალ თავდამსხმელს აღარ იყიდიან.

ვიდუკამ რამდენიმე დღე ითხოვა მოსაფიქრებლად. მას „ნიუკასლი" და სერია A-ში გადასვლის კანდიდატი „ჯენოა" ეპატიჟებიან.

## კაბული ვაჟრობს

**„ოსერის"** მცველმა იუენს კაბულმა დაადასტურა, რომ „ტოტენჰემში" გადადის. ლონდონური კლუბი ფრანგში 8 მილიონ 200 ათას გირვანქას იხდის.

„გარემოს შეცვლა მჭირდება — თქვა მცველმა — იმ ასაკში ვარ, როცა პროგრესი აუცილებელია. ყველაზე მეტად პრემიერლიგა მომწონს და ჩემი აგენტი ტოტენჰემელებს ევაჭრება. სავარაუდოდ, 4-5-წლიან კონტრაქტს გავაფორმებ."

გუშინ კი ისიც დადასტურდა, რომ „საუთჰემპტონიდან" „ტოტენჰემში" გადავიდა 17 წლის მცველი გარეთ ბეილი.

## ფიოლერს ლილელი მოსწონს

**„ფრანს ფუტბოლის"** ცნობით, „ლევერკუზენს" „ლილიდან" სტატის ტაულარიდისის ყიდვა უნდა.

ბუნდესლიგური კლუბის სპორტულ დირექტორ რუდი ფიოლერს 27 წლის ბერძენი მცველის თამაში ძალიან მოსწონებია. ტაულარიდისი „ლილში" 2004-ში „არსენალიდან" გადავიდა, 75 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა.

## ნათხოვარის გამოსყიდვა

**„სოშოს"** პრეზიდენტმა ჟან-კლოდ პლესისმა განაცხადა, რომ „ლივერპულიდან" ნათხოვარი ანტონ ლე ტალეკის გამოსყიდვა სურს. საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი შარშანწინ გაუშვეს პრემიერლიგიდან სამშობლოში და „სოშოს" კარგად მოერგო.

„უახლოეს დღეებში „ლივერპულთან" მოლაპარაკებას დავიწყებთ, რადგან ეს ფეხბურთელი გვჭირდება" — თქვა პრეზიდენტმა.

## უფასო დისტინი

**„პორტსმუთის"** მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა დაადასტურა, რომ „მანჩესტერ სიტის" სილვენ დისტინი მის გუნდში გადადის. ფრანგ მცველს სიტელებთან კონტრაქტი დაუმთავრდა, „პორტსმუთს" უფასოდ ერგო და სამწლიანი ხელშეკრულებაც გააფორმა.

## დიკის უარი

**როტერდამის** „ფეიენოორდის" გაძღოლა დიკ ადვოკაატს შესთავაზეს, რომელიც ამჟამად „ზენიტში" მუშაობს, მაგრამ ჰოლანდიელმა იუარა. როტერდამული კლუბიდან სეზონის ბოლოს ერვინ კუმანი გაათავისუფლეს ცუდი შედეგების გამო და დროებით ლეო ბეენჰაკერს ჩააბარეს. ახლა მწვრთნელის ადგილი თავისუფალია და „ფეიენოორდი" კუმანის შემცვლელს ეძებს. გუნდს ალბათ კო ადრიანსე უთავკაცებს, ვინც დონეცკის „მეტალურგიდან" ერთი კვირის წინ გაუშვეს.

## სამირის სანახავად მარსელში

**ფრანგული** მედიის ცნობით, მადრიდის „რეალს" მარსელელი სამირ ნასრის ყიდვა უნდა. 19 წლის ნახევარმცველი საფრანგეთის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. „რეალის" სკაუტები ნასრის სანახავად ჩემპიონატის ბოლო ტურში „სედანთან" მატჩზე ჩავლენ. ნახევარმცველს „მარსელთან" კონტრაქტი 2009-ის ზაფხულში ეწურება.

## დრობნი მერვედან მეათეზე

**„ბოხუმის"** ჩეხი მეკარე იაროსლავ დრობნი ბერლინის „ჰერტაში" გადავიდა და სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა მეკარემ, რომელმაც 2002-ის ევროპის ჩემპიონატი მოიგო, „ბოხუმში" ერთი სეზონი გაატარა. „ჰერტამ" ჩემპიონატი მეათე ადგილზე დაასრულა, „ბოხუმი" კი მერვეზე გავიდა.

## ჰანზას პირველი ვეხტერია

**ბუნდესლიგაში** აღზევებულმა როსტოკის „ჰანზამ" პირველი ტრანსფერი გაახერხა — „ჰამბურგის" ყოფილი მეკარე შტეფან ვეხტერი შეიძინა და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

29 წლის ვეხტერი „ჰანზაში" მათიას შიობერს შეცვლის, რომელიც „შალკეში" გადავიდა.

## აგენტი მოჰამედი

**კლოდ მაკელელეს** ჩელსური მომავალი გაურკვეველია, მისმა აგენტმა კი თქვა, რომ ფრანგს „ვილიარეალი" ეპატიჟება.

ჩელსელს კონტრაქტი 2008-ის ზაფხულში ეწურება და ორი წლით გახანგრძლივება უნდოდა, მაგრამ უარი მიიღო. მაკელელეს აგენტი მოჰამედ ლაჯემი კლუბის შეფებს მომავალ კვირაში შეხვდება და თავისი კლიენტის კონტრაქტზე დაელაპარაკება.

„ვილიარეალს" ძალიან უნდა ფრანგის ყიდვა, თუმც თავად მაკელელეს ლონდონში დარჩენა ურჩევნია.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წმინდა ბერნარდო ბარსას ახალ კოშმარს უმზადებს

**ესპანეთში მას ბევრი სახელით იცნობენ, თუმცა ჯერჯერობით ბოლო მეტსახელი მაინც ყველაზე შთამბეჭდავია — ბერნდ შუსტერს („ბერნარდო", „ნიბელუნგი", „ქერა ანგელოზი") „მარკამ" კოპა დელ რეის ნახევარფინალში „ბარსელონასთან" სასწაულებრივი გამარჯვების შემდეგ „სან ბერნარდო", ანუ „წმინდა ბერნარდო" შეარქვა... წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი და ამჟამად „ხეტაფეს" დამრიგებელი მსოფლიოში ერთ-ერთ უჭკვიანეს მწვრთნელად ითვლება და მის ხელში ჩასაგდებად ევროპულ გრანდებს ნამდვილი ომი აქვთ გაჩაღებული. შუსტერს მადრიდული „ასი" ესაუბრა...**



## ბერნდ შუსტერი: ყველაფერს გავაკეთებ, რათა რონალდუ და კაკა ხეტაფეში მოვიყვანო

— იმ ხალხისთვის, რომელიც „ხეტაფეს" ნაკლებად იცნობს, ალბათ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, რითი ახსნის თავისი გუნდის წარმატებას ბერნდ შუსტერი. რა არის „ბერნარდოს საოცრების" საიდუმლო?

— ბევრი ფაქტორი არსებობს, რომლებიც გუნდის წარმატებაზე გავლენას ახდენენ. „ხეტაფეს" თითქმის ყოველწლიურად უწევს შემადგენლობის განახლება — სხვადასხვა ფეხბურთელები გუნდში მოდიან, თავიანთ სიძლიერეს ამტკიცებენ და შემდეგ სათამაშოდ გრანდებში გადადიან ხოლმე. ჩვენ ვეტერანებისა და ახალგაზრდებისგან ძლიერი შემადგენლობის შედგენა შევძელით. სატრანსფერო პოლიტიკასაც სწორად ვაწარმოებთ. რაღა დარჩა? ჩემი საფეხბურთო ფილოსოფია, ის, თუ როგორ უნდა ვათამაშო გუნდი, როგორ უნდა ჩავუნერგო ფეხბურთელებს, რომ მოედანზე სიამოვნებაც მიიღონ და სასარგებლო საქმეც აკეთონ. კლუბში მშვიდი ატმოსფეროა, უფროსობამ ჩვენი შესაძლებლობების ზღვარი იცის და ციდან ვარსკვლავების ჩამოკრეფას არ გვთხოვს.

— „ხეტაფეს" პრეზიდენტი კლუბის სატრანსფერო პოლიტიკას ერთპიროვნულად აკონტროლებს. თქვენ ამ სიტუაციასთან შერიგება მოგიწიათ...

— ნამდვილად ასეა. წელიწადნახევრის წინ, როცა „ხეტაფეში" მოვედი, მივხვდი, რომ ანხელ ტორესი სატრანსფერო საქმეებს თავად ხელმძღვანელობდა. ჩვენი პრეზიდენტი იმ თავკაცთა რიცხვს არ მიეკუთვნება, მავან ფეხბურთელზე დაბნეულად რომ იტყვიან ხოლმე — „აი, ამ ბიჭის ყიდვა მირჩიეს..." არა, ტორესი საინტერესო მოთამაშეს დიდხანს აკვირდება, მის თვისებებს სწავლობს და შემდეგ იტყვის: „ეს ბიჭი აუცილებლად უნდა ვიყიდოთ!" ანუ იგი სელექციონერის ფუნქციასაც კარგად ითავსებს. თუმცა, ცხადია, ანხელ ტორესი ტრანსფერებისას ჩემს აზრსაც ითვალისწინებს და უფლებას მაძლევს, საინტერესო ფეხბურთელები მეც შევარჩიო.

— კი მაგრამ, დიდ გუნდებში უფროსობა სულ სხვანაირად იქცევა...

— ეს ყველაზე რთული საკითხია. „ხეტაფეში" სატრანსფერო საქმეს ამგვარად ვაწარმოებთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსოფლიოს ყველა კლუბმა მსგავსი სტილი გადაიღოს. ანხელ ტორესი განსაკუთრებული პრეზიდენტია.

**— ხალხი ფიქრობს, რომ ჩვეულებრივი გუნდის მწვრთნელობა უფრო ადვილია, ვიდრე ვარსკვლავებით დახუნძლული ჭირვეული გრანდების გაკონტროლება...**

— არ დაიჯეროთ. მწვრთნელისთვის არც გრანდში ყოფნით ადვილდება საქმე. აქ მთავარი ფეხბურთელთა ეგოიზმია, რომლის შესახებაც ყველაფერი კარგად ვიცი. ყველა გუნდი, პატარაა თუ დიდი, ფეხბურთელებისგან შედგება და პიროვნული ხასიათის ფაქტორები ყველგან მოქმედებს.

**— შუსტერი მზადაა, რომ ხელთ დიდი კლუბის სადავეები იპყრას?**

— „ხეტაფეს" ბოლოდროინდელი წარმატებებიდან გამომდინარე, ალბათ, უცნაური იქნებოდა, დიდი გუნდის მწვრთნელობაზე რომ არ მეფიქრა. ცოდნა იმისა, თუ რა როგორ ფუნქციონირებს, მნიშვნელოვანია, ისევე, როგორც საჭირო დროს სწორი გადაწყვეტილების მიღება.

**— როცა „ასმა" თავის თავფურცელზე მადრიდის „რეალის" მომავალ მწვრთნელად გამოგაცხადათ, რა გაიფიქრეთ? კმაყოფილი დარჩით თუ ცალკეული დეტალების სააშკარაოზე გამოტანამ გაგაბრაზათ?**

— არ დაგიმალავთ და, გავბრაზდი, თუმცა ჩემს გამო არა — ეს საქმე ხომ მარტო ბერნდ შუსტერს კი არა, გუნდს და ცალკეულ ფეხბურთელებსაც ეხებათ. პრესის ნაადრევმა ვარაუდებმა შეიძლება, საvesებით გაართულოს საქმე. თუმცა ვაღიარებ, რომ ჩემს შემთხვევაში ყველაფერი დადებითად წარიმართა — „ასში" გამოქვეყნებულ ინფორმაციას ხალხის მხრიდან კარგი კომენტარები მოჰყვა. რა თქმა უნდა, კარგია, რომ შენთან თანამშრომლობა „რეალის" დონის გუნდს სურს. გინდა, რომ ეს ყველაფერი სინამდვილედ იქცეს. ცხოვრება რთულია, წინასწარ მომზადებულ სცენარს ყოველთვის ვერ გაათამაშებ.

**— თუმცა საამსეზონო ლა ლიგაში რაც უნდა მოხდეს, თქვენ მაინც სამეფო გუნდის მომავალ მწვრთნელად გხედავთ. რას იტყვით ამის შესახებ?**

— რა გითხრათ... ხან წარმომიდგენია ჩემი თავი „ბერნაბეუზე" და ხან არა. სიტუაციას გააჩნია... ხომ ხედავთ, ფეხბურთი როგორია, კვირიდან კვირამდე იცვლება. მცირე ხნის წინ „რეალის" მწვრთნელობაზე უფრო მეტი შანსი მქონდა, ახლა კი, როცა მადრიდელებმა შეუპოვრად იბრძოლეს და პრიმერას ჩემპიონობას რეალურად მიუახლოვდნენ, ჩემი შანსები შედარებით შემცირდა.

**— მადრიდული გუნდის ბოლოდროინდელმა ცვლილებამ ბერნდ შუსტერი არ გააკვირვა?**

— ნამდვილად გამიკვირდა, რადგანაც თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში „რეალი" ცუდად თამაშობდა, ქულებს განსაკუთრებით შინ ანიავებდა და ინჩასებიც სასოწარკვეთილნი იყვნენ. და უეცრად, თითქოს ჯადოსნური ჯოხი აუქნიესო, გუნდი სასიკეთოდ შეიცვალა. ამას ჯერ ახსნას ვერ ვუძებნი, თუმცა მწვრთნელისთვის საინტერესო უნდა იყოს, „ჩიპის" გამოცვლა როდის და რანაირად ხდება, რა დაემართათ „რეალის" ფეხბურთელებს, თამაშის დონე ასე დაუჯერებლად რომ გამოასწორეს? სულ სხვანაირად თამაშობენ და საკუთარი ძალებისაც სჯერათ — ამას ხუთიოდე თვის წინ ვერ წარმოიდგენდით. არადა, თითქოს არაფერი შეცვლილა, იგივე მწვრთნელი, იგივე ფეხბურთელები... ვფიქრობ, ფაბიო კაპელო ისევ ძველი მეთოდით მუშაობს, შეგირდებს ისევ ძველებურად მოძღვრავს და, საერთოდ, მუშაობისა და ცხოვრების წესი არ გამოუცვლია. ამის გამო „რეალის" ელვისებური სახეცვლილებით გაოცებული ვარ.

**— აი, „ხეტაფეს" რომ მომავალ ტურში „კამპ ნოუზე" „ბარსელონასთვის" მორიგი ცივი შხაპის შეთავაზება შეუძლია, ამაში არაფერია გასაოცარი...**

— რა თქმა უნდა. ოღონდ არ დაგავიწყდეთ, რომ ამ მატჩს თან გარკვეული ინტრიგაც ახლავს. მადრიდში ფრიად დაინტერესებულნი არიან, რომ „კამპ ნოუს" უსიამოვნო სიურპრიზი მოვუწყოთ.

**— თქვენ „რეალის" ფანებს ერთი უსიამოვნება თავიდან უკვე ააცილეთ — „ხეტაფემ" „ბარსა" კოპა დელ რეიდან დაითხოვა და კატალონიელები „სანტიაგო ბერნაბეუზე" თასის ფინალში ვეღარ ითამაშებენ. ახლა თუ კიდევ ჩაძირეთ „ბარსელონა" და მადრიდელებს ოქროს მედლების მოპოვებაშიც დაეხმარეთ, „სან ბერნარდოს" მართლა წმინდანივით მიაბრძანებენ „რეალში"...**

— ბარსელონაში ამჯერადაც თუ ვიყოჩაღეთ, სულ მცირე, მადრიდულ რესტორნებში უფასო სადილვახშამი გარანტირებული მაქვს... ეს პრიმერაში, თუ ყველაზე მნიშვნელოვანი არა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩი მაინც იქნება — შეიძლება, ჩემპიონის ბედიც გადაწყვიტოს. მთელი ქვეყანა ახლა ჩვენ შემოგვცქერის. მართალია, „ხეტაფემ" „ბარსას" თასზე მოუგო, მაგრამ ეს სულ სხვა ტურნირია და თამაშიც სხვანაირი იქნება. „ბარსა" არნახული მონდომებით იომებს, თუმც ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენი დამარცხება ადვილი საქმე არ არის.

**— „ბარსელონას" არასტაბილურ და უფერულ სეზონს როგორ შეაფასებდით?**

— ამ გუნდმა ბოლო ორ-სამ წელიწადში ყველაფერი მოიგო და ფეხბურთელებიც შეეჩვივნენ იმაზე ფიქრს, რომ გარდა გამარჯვებისა, ქვეყნად სხვა შედეგი აღარ არსებობს... მე შარშან ზაფხულს აღვნიშნე, „ბარსას" გაისად გაუჭირდება-მეთქი. ჩემპიონთა ლიგისა და ზედიზედ ორი პრიმერადივიზიონის მოგების შემდეგ გუნდი მოდუნდა, ფეხბურთელები ბურთზე უფრო მეტად სხვა რამეებზე ფიქრობენ. ამის გამო თამაშებს ისე ადვილად ვეღარ იგებენ, როგორც წინა სეზონებში იყო. მეტოქეებიც გამოცოცხლდნენ, ადრე ფრანკ რაიკარდის გუნდი ბრწყინვალედ თამაშობდა და მათი დამარცხება თითქმის წარმოუდგენელი იყო, ახლა კი მოწინააღმდეგეებს ძველი ანგარიშების გასწორების შანსები მიეცათ... „ბარსას" დაახლოებით იგივე დაემართა, რაც მადრიდის „რეალს" რამდენიმე წლის წინ.

**— „რეალს" და „ბარსელონას" რა დიაგნოზებს დაუსვამთ?**

„დაიმახსოვრეთ, ეს ბიჭი მალე მსოფლიოს დონის ვარსკვლავი გახდება" — ეს სიტყვები სამი წლის წინ თბილისში ტურნეზე მყოფმა პრეტორიის „ბულზის" მწვრთნელმა აიკერ მეიერმა დენი როსოუზე გვითხრა. მას შემდეგ სამი წელი გავიდა. 28 წლის დენი როსოუ კი მეგა არა, მაგრამ კაგრა მოფზრდილი ვარსკვლავი გახდა. სამხრეთაფრიკელი მორკინალი ქართველებისთვის კარგად ნაცნობია. 2003 წლის მსოფლიოს თასზე როსოუმ ორი ლელო გაუტანა ჩვენებს და თბილისშიც მაგრად ითამაშა. ახლა კი როსოუ და მისი „ბულზი" უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირის ზე-14-ის ჩემპიონია. სამიოდე დღის წინ „ხარებმა" სამხრეთაფრიკულ ფინალში მოსისხლე „შარქსი" უდრამატულეს მატჩში დაამარცხეს და 14-წლიანი საამტურნირო არსებობის მანძილზე პირველად მოიგეს საჩემპიონო ტიტული. დენი როსოუს სამხრეთ აფრიკაში დავუკავშირდით და ცხადია, პირველ დრამატულ ფინალზე ვკითხეთ

— მართლაც სასწაული მოხდა. როდესაც მსაჯს ვკითხეთ, დრო რამდენი იყო დარჩენილი, გვითხრა, დრო ამოწურულია, ერთ შეტევასაც გაცლით, ბურთი როგორც კი უქმე იქნება, მატჩს დავასრულებო. ამ დროისთვის „შარქსი" 19:13-ს გვიგებდა. წამით მეტოქის სათადარიგოთა სკამს გავხედე, ისინი უკვე ზეიმობდნენ და შამპანურის ბოთლებს ატრიალებდნენ... ჩვენმა კაპიტანმა ვიქტორ მეტფილდმა გვითხრა, რაც არის არის, უჯარიმოდ შევუტიოთ და ფეხით არ დავარტყათო. აი, აქედან კი დაიწყო ის სასწაული, რამაც ჩემპიონობა მოგვაგებინა. მთელი ორი წუთი ოცფაზიანი შეტევა გავაკეთეთ. ერთი-ორჯერ ბურთი მეტოქემ კი წაგვართვა, მაგრამ ახლაც ვერ ამიხსნია, რატომ არ დაარტყეს აუტში. ამით ხომ მატჩიც დასრულდებოდა. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ სასწაული მოხდა. ჩვენ კი ორივეჯერ დავიბრუნეთ ბურთი და ჩვენმა ჯილამ ჰაბანამ მართლაც ფანტასტიკური ლელო გაიტანა. მხოლოდ გარდასახვალა რჩებოდა და ჰუზაარდმა კარიერაში უმნიშვნელოვანესი ბურთი დაარტყა.



თბილისში ყოფნისას დენი როსოუმ ლუდის სმის კონკურსიც მოიგო

— დრამატული ფინალი ერთია და გამარჯვება ორმაგად ფასობს. მოსისხლე „შარქსს" მოუგეთ, ამასთან პირველად გახდით ზე-14-ის ჩემპიონები...

— ვერ წარმოიდგენთ, რა ხდებოდა ჯერ კიდევ სტადიონზე. ჩვენი ფანობა მთლად გადაირია. გასახდელში კი ისე ვღრიალებდით, ხმა ახლაც ჩახლეჩილი მაქვს. პრეტორიაში დაბრუნებულებს განსაკუთრებულად დაგვხვდნენ, ეს უნდა გენახათ, სიტყვებით ვერ გადმოგცემთ.

— ფინალი სამხრეთაფრიკული გამოდგა. აქამდე ავსტრალიური და ახალზელანდიური კლუბები ბატონობდნენ. წლეულს რა მოხდა?

— მოხდა ის, რომ ჩვენ ამ გამარჯვებისთვის მთელი ოთხი-ხუთი სეზონი ეტაპობრივად ვემზადებოდით. კლუბი წლიდან წლამდე თითო ძლიერ მორაგბეს იმატებდა, გაშვებით კი არავის უშვებდა. თანაც, მწვრთნელ ჰაიკე მეიერს სრული ნდობა ჰქონდა და ტაქტიკისა და სელექციის გარდა, საფიქრალი არ ჰქონია.

ერთიცაა, ავსტრალიურ რაგბიში ახლა კრიზისია, რაც მათ კლუბებზეც აისახა. ზელანდიელები კი მუდამ ფავორიტობის ფაქტორმა დალუპა.

— საქართველოში ყოფნისას აქაც ბევრი ქომაგი შეიძინეთ...

— თქვენთან მართლაც დაუვიწყარი დღეები გავატარეთ. თბილისიდან შინდაბრუნებულებს სამი თვე სალაპარაკო მეტი არაფერი გვქონდა. სამწუხაროა, რომ თქვენი ნაკრები საპასუხო ვიზიტით ვერ ახერხებს პრეტორიაში ჩამოსვლას. მარტო ზრდილობაში არ ჩამითვალოთ და, მთელი ჩვენი გუნდით ვქომაგობთ ქართველებს. ვიცი, რომ წლევანდელ მსოფლიო თასზე ითამაშებთ, მაგრამ ოთხი წლის წინანდელისგან განსხვავებით სხვა ჯგუფში მოხვდით. ერთ ჯგუფში რომ ვყოფილიყავით, დარწმუნებული ვარ, კვლავაც ლაღი და სანახაობრივი მატჩი გამოვიდოდა.

— ერთსაც გკითხავ, სამხრეთაფრიკული კლუბების პროგრესი აშკარაა, ცხადია, ეს ნაკრებზეც აისახება. შენი აზრით, ვინ არისწლევანდელი მსოფლიოს თასის მთავარი ფავორიტი?

— მე სამხრეთაფრიკელი ვარ და ვიტყვი — „ქურციკები", ანუ ჩემპიონები ჩვენ გავხდებით.

**ბაჩო სვანიძე**

# მსოფლიომ საქართველო დაპატიჟა

კვირის ბოლოს საქართველოს ნაკრები ბუქარესტში შეიკრიბება, სადაც 5 ივნისს, რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) ერთა თასი იწყება. ტურნირი საერთაშორისოა და წლეულს პირველად ტარდება. მსოფლიო რაგბის მამებმა სადებიუტო ტურნირზე ექვსი გუნდი ჩართეს. ბუქარესტში ირაგბებენ არგენტინის და იტალიის A ნაკრებები, სამხრეთ აფრიკის 23-წლამდელთა ნაკრები, რუმინეთი, ნამიბია და საქართველო. ნამიბია, მოგეხსენებათ, წლევანდელ მსოფლიოს თასზე ჩვენების მეტოქეა და ქართველების მინიმუმიც და მაქსიმუმიც აფრიკელების დამარცხება იქნება. ტურნირზე კი ჩვენ ლელოებს მეტოქის უკეთ გაცნობის საშუალება მიეცემათ.

დავაზუსტოთ, რომ ამ უქმეებზე შემადგენლობაში შეიძლება ერთი-ორი ცვლილება მოხდეს. რუმინეთში ჩვენების მენეჯერი ნაკრების ტრავმირებული კაპიტანი ილია ზედგინიძე იქნება. ხოლო „ლელოების" ფრანგი ანრი ბრონკანი სწორედ ამ ტურნირით იწყებს ნაკრების კონსულნანტად საფუძვლიან მუშაობას.

**ბაჩო სვანიძე**



### საქართველო IRB-ს ერთა თასზე

**შერკინება:** დავით ხინჩაგაშვილი, მამუკა მაგრაქველიძე, გიორგი ჟღენტი, დავით დადუნაშვილი, ლევან დათუნაშვილი, ვიქტორ დიდებულიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, რატი ურუშაძე, ილია მაისურაძე, გიორგი ჩხაიძე, ზვიად მაისურაძე, ელიზბარ ყუფარაძე, ირაკლი ჭყონია, შალვა სუთიაშვილი

**უკანა ხაზი:** ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, მერაბ კვირიკაშვილი, დავით კაჭარავა, ირაკლი მაჩხანელი, ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, გიორგი შკინინი, ოთარ ბარკალაია, ოთარ ელოშვილი, რევაზ გიგაური, დავით გურგენიძე

**5 ივნისი**
არგენტინა A — იტალია A
საქართველო — ნამიბია
ს. აფრიკა U23 — რუმინეთი

**10 ივნისი**
არგენტინა A — ნამიბია
ს. აფრიკა U23 — საქართველო
იტალია A — რუმინეთი

**16 ივნისი**
იტალია A — საქართველო
ნამიბია — რუმინეთი
ს. აფრიკა U23 — არგენტინა A

# ავსტრიაში საქართველო ითქვა

## ჯუჯა ლიხტენშტაინი ჯუჯა არ არის

**ამ დღეებში ავსტრია-ლიხტენშტაინში გაიმართა სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის 70-ე კონგრესი, რომლის დელეგატთა შორის იყვნენ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის (აიპს) პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი და ამავე ასოციაციის აღმასკომის წევრი ემზარ ზენაიშვილი**



— ეს იყო არა მარტო საიუბილეო, არამედ ყველაზე წარმომადგენლობითი კონგრესი, რომელშიც 112 ქვეყნის დელეგატები მონაწილეობდნენ, — გვეუბნება ელგუჯა ბერიშვილი — საზეიმო გახსნის ცერემონიალზე სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა ჯანი მერლომ ამ მომენტს საგანგებოდ გაუსვა ხაზი. ეროვნული ასოციაციების ასეთი ინტერესი მან აიპს-ის გააქტიურებით და მზარდი პოპულარობით ახსნა. მერლო ორი წლის წინ გახდა აიპს-ის პრეზიდენტი და მისი მმართველობის პერიოდში მართლაც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. კონგრესის მსვლელობისას არაერთხელ ითქვა, რომ აიპს-ი დინამიურად ვითარდება, შესაბამისად მისი გავლენაც იზრდება და საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები მეტი ყურადღებით ეკიდებიან ჟურნალისტთა რეკომენდაციებს. კონგრესს არაერთი საპატიო სტუმარი დაესწრო, რომელთა შორის იყვნენ ავსტრიის ფედერალური კანცლერი ალფრედ გუზენბაუერი, სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჯან ფრანკო კასპერი, ფიგურული ციგურაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ოტავიო ჩინკვანტა, იორდანიის პრინცი ფაიზალი, ლეგენდარული ავსტრიელი სამთომთხილამურე ტონი ზაილერი...

კონგრესის პირველი სამუშაო დღე კონტინენტალური ორგანიზაციების სხდომებს და პრეზენტაციებს დაეთმო. ბრეგენცში საგანგებოდ ჩამოვიდნენ სოჭის, პიონჩანისა და ზალცბურგის წარმომადგენლობითი დელეგაციები. მოგეხსენებათ, წლეულს ივლისში უნდა გაირკვეს 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის ვინაობა და სამივე კანდიდატი ქალაქი ცდილობს, არჩევნებამდე რაც შეიძლება მეტი მხარდამჭერი შემოიმატოს. ზალცბურგელთა დელეგაციას ქალაქის მერი მარკუს ლინჰარტი მეთაურობდა, პიონჩანისას — განჯვანის პროვინციის გუბერნატორი კიმ ჟინ-სუნი, რუსებისას კი ცურვაში ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი ალექსანდრ პოპოვი. მათ ჯერ სარეკლამო-საინფორმაციო კლიპები წარმოადგინეს, მერე კი კონგრესის დელეგატთა კითხვებს უპასუხეს. უხერხული კითხვები უმთავრესად რუსების მისამართით დაისვა. მაგალითად, ავსტრიელმა ჟურნალისტმა იკითხა, თქვენთან პრესას მთავრობა აკონტროლებს და ხომ არ აჯობებდა, ჯერ დემოკრატიული სახელმწიფო აგეშენებინათ, ოლიმპიადის მოსაწყობად კი მერე გვზრუნათო. როგორც ამბობენ, ავტორიტარული რეჟიმი რუსებს სერიოზულ სირთულეებს ვერ შეუქმნის და სოჭს, ზალცბურგთან ერთად, გამარჯვების კარგი შანსი აქვს... პეკინის 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით ჟურნალისტებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა საორგანიზაციო კომიტეტის კომუნიკაციის დეპარტამენტის დირექტორმა ჰოაო პეიმ. ჩინელები ბრეგენცში 10-კაციანი შემადგენლობით ჩამოვიდნენ და მეტად საინტერესო ვიდეო და ნაბეჭდი მასალა წარმოადგინეს. „პეკინი-2008"-ის პრეზენტაცია მეორე დღეს შედგა, როცა კონგრესმა მეზობელ ლიხტენშტაინში გადაინაცვლა. ბრეგენციდან ლიხტენშტაინის დედაქალაქ ვადუცამდე ერთი საათის გზაა. კონგრესი იქაური უნივერსიტეტის შენობაში გაგრძელდა, საღამოს კი ლიხტენშტაინის პრინცის ჰანს-ადამ II-ის სახელით 500-კაციანი წვეულება გაიმართა. სიტყვით გამოვიდნენ პრინცესა მარია და ლიხტენშტაინის ვიცე-პრემიერი. იქაურმა ჟურნალისტებმა გვითხრეს, აქ სპორტს დიდი ყურადღება ექცევაო. ერთადერთი სახეობა, რომელსაც ამ ჯუჯა ქვეყანაში პერსპექტივა არა აქვს, ავტოსპორტი ყოფილა. ეს საქმე იმიტომ არ გამოგვდის, რომ პატარაზე გავქანდებით თუ არა, თავს მეზობელ ქვეყანაში ამოვყოფთო.

...ბრეგენცში იმავე საღამოს დავბრუნდით. კონგრესის დასკვნითი დღე უმთავრესად პროფესიულ ამბებს დაეთმო, ბოლოს კი სიტყვა ითხოვეს მომავალი, 2008 წლის კონგრესის მასპინძლებმა. სავაისო კონგრესი ოლიმპიურ თამაშამდე ორი თვით ადრე პეკინში ჩატარდება. პეკინელები საუკეთესო მასპინძლობას დაგვპირდნენ. რაც შეეხება 2009 წლის კონგრესს, მისი მასპინძლის ვინაობა საბოლოოდ ჯერ არ დადგენილა, მაგრამ გაირკვა, რომ აიპს-ის აღმასრულებელი კომიტეტის ერთ-ერთი სხდომა თბილისში გაიმართება, სავარაუდოდ 2008 წლის მარტში.

**ავთანდილ ტყვიშელი**

სუმო

# კოკაისთან დაბალიც მაღალია

## მაისის ბაშო ახალ იოკოძუნას შობს

**კოკუგიკანურ** ბაშოზე ყველაფერი ოძეკი ხაკუხოს გაიოკოძუნებისკენ მიდის. 22 წლის მონღოლმა წინა, მარტის ბაშო ხომ მოიგო და აგერ, მაისისასაც წაუგებლად ლიდერობს. ფინიშამდე კი ოთხი ტურიღა რჩება.

მეთერთმეტე ქულა ხაკუხომ 34 წლის ოძეკის, თასის ხუთგზის ამწევი კაიოს წაქცევით მიითვალა და ამ საუკუნის პირველ და ერთადერთ იოკოძუნასთან, ასასიორიუსთან ქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა. თან სუმოს ყოჩაღ ვეტერანს ისე იოლად გაუსწორდა, ძნელად წარმოსადგენია, ასასიორიუს დაწევის საშუალება უშუალოდ ურთიერთშეხვედრამდე მისცეს. ბარემ აქვე გავიხსენოთ, რომ მარტში „თეთრმა ფენიქსმა" ჩემპიონობა სწორედ „ცისფერი დრაკონის" ძლევით გაინაღდა.

იოკოძუნა კი გუშინ მასავით ცხრაქულიან სეკივაკე კოტომიცუკის პატარა ბავშვივით გაუსწორდა — სასტარტო შეტევისთანავე ზურგით შეაბრუნა და მაყურებლებში გადაუძახა. ამ მოგებით ასასიორიუ ლიდერის ერთპიროვნული უახლოესი მდევარი გახდა. კოტომიცუკი ხომ თავად გაამწარა, რიგითმა მაეგაშირებმა ასასეკირიუმ და ფუტენომაც წაიფორხილეს.

დღეს ხაკუხო ორმეტრიან კოტოოსიუს დაეჭიდება. ბალკანელ გულივერად მონათლული ბულგარელი ოძეკის ანგარიშზე შვიდი მოგებაა. ოთხი სამაისო მარცხიდან კი სამი ბოლო სამ დღეში იწვნია. პირადი სტატისტიკაც მონღოლის სასარგებლოა — 9:4. ასასიორიუს მეთორმეტე მეტოქე ოძეკი ტიოტაიკაია, რომელიც აქამდე 29 ცდიდან 23-ჯერ წაუქცევია.

ლევან ცაგურია ბოლოსთვის კი მოვიტოვეთ, მაგრამ ტკბილი ლუკმის რა გითხრათ. გუშინ კოკაიმ მეცხრედ წააგო. ამჯერად უმაღლეს დივიზიონ მაკუტის უდაბლეს სუმოისტთან, 168-სანტიმეტრიან კომუსუბი ტოინოსიმასთან. ხოლო დღეს თავისზე უარესბალანსიან — მინუსთერთმეტქულიან ექსკომუსუბი კაკიძოეს ხვდება. ამ მოუგებელმა სეკიტორმა წესით, დღესაც ვერ უნდა მოიგოს...

**ოთარ გაღლაძელიძე**

სუმო

# ნავები და ზღვა



AFP

**არა და არ** დაადგა საშველი ახალი ისტორიის უძველესი სპორტული შეჯიბრის, რიგით 32-ე აფროსანთა „ამერიკის თასის" პრელუდიის, „ლუი ვეტონის" თასის გათამაშების მეორე ფინალისტის გამოვლენას.

შეგახსენებთ, რომ სწორედ „ლუი ვეტონის" თასის გამარჯვებული უნდა დაეტაკოს გადამწყვეტ დაპირისპირებაში „ამერიკის თასის" ამჟამინდელ მფლობელს, შვეიცარიულ სუპერიახტა „ალინგს".

„ლუი ვეტონის" თასის გათამაშების პირველი ფინალისტი იტალიური „ლუნა როსაა", რომელმაც ცოტა არ იყოს და მოულოდნელად, 5:1 გაანადგურა ამერიკელთა ნაქები ნავი „BMW-ორეიკლი". პროგნოზები ასეთი იყო, რომ მეორე ნახევარფინალი ახალზელანდიურ „ტიმ ნიუ ზილენდსა" და ესპანურ „დესაფიო ესპანიოლას" შორის უფრო ადრე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მშობლიური ვალენსიის აკვატორიაში ესპანელებმა მძაფრი ბრძოლა გაუმართეს „ამერიკის თასის" ორგზის მფლობელებს.

მასპინძლებისგან ერთი ქულის აღებაც მოულოდნელი იყო და 4:1-ზე კი მათ მეორე გამარჯვებაც მოიპოვეს. მერე დასვენების დღე იყო და შემდეგ კი ხმელთაშუა აბობოქრდა, ნავები ზღვაში ვერ შევიდნენ და ფავორიტ ახალზელანდიელებს ასე გადაედოთ და გაეწელათ ფინალში გასვლა. ფინალი კი, წესით და რიგით, 1 ივნისს უნდა დაიწყოს.

ჭიდაობა

# არავითარი პაუზა

## თბილისური ხალიჩა თბილისში გაიშლება

ვახტანგ ბალავაძის და გივი კარტოზიას სახელობის თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი წლეულს 14-15 ივლისს ჩატარდება, ოღონდ კონკრეტულად რომელ დარბაზში, უახლოეს დღეებში გაირკვევა. ალბათ გახსოვთ, სპორტის სასახლის რეკონსტრუქციის გამო რამდენიმე თვის წინ ტურნირის ერთწლიანი პაუზა გადაწყდა, მაგრამ ახლახან ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ გადაწყვეტილება შეცვალა.

„რამდენიმე დღის წინ ბათუმში ჩავედი და იქაურ პირობებს ერთხელაც გავეცანი — გვითხრა გუშინ ფედერაციის პრეზიდენტმა *კახა გეწაძემ* — თუმცა ტურნირის აჭარაში ჩატარება უკვე გამორიცხულია. ჯერ ერთი, რომ საკურორტო სეზონს ემთხვევა და სასტუმროების პრობლემა გაცილებით ძნელად მოსაგვარებელი იქნება და მეორეც, დარბაზის ტრიბუნები არცთუ ბევრ მაყურებელს იტევს".

ბათუმური ვარიანტის გამორიცხვის შემდეგ, სავარაუდოდ, ბალავაძე-კარტოზიას ან „ქარიშხალას" დარბაზი მიიღებს, ანაც დილმის. ამ ორ კანდიდატს შორის არჩევანს ორგანიზატორები დღეს-ხვალ გააკეთებენ. ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზი კი გასახდელებისა და სველი წერტილების მოუწესრიგებლობის გამო გამოირიცხა.

**ოთარ გაღლაძელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩახნაშვილმა პარიზი გამარჯვებით გახსნა



**პარიზში**, „როლან გაროსის" თიხის კორტებზე სეზონის მეორე სლემტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი დაიწყო და წარმატებით აილო სტარტი საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ქალმა მაკა ჩახნაშვილმა.

პირველ წრეში მაკას მეტოქე 23 წლის ებრაელი ევგენია საფრანსკი იყო, ვისაც WTA-ს მიმდინარე რეიტინგში 203-ე პოზიცია უკავია. ჩახნაშვილმა საფრანსკი იოლად — 6:3 6:4 დაჯაბნა და მეორე წრეში გავიდა, სადაც საკვალიფიკაციო ეტაპზე მე-3 ნომრად განთესილ უნგრელ აგნეს ზავაის შეხვდება. 18 წლისა და რეიტინგში კარიერის უმაღლეს, 101-ე ადგილზე მყოფ უნგრელს პირველ წრეში საკმაოდ გაუჭირდა მასზე ექვსი წლით უფროსი ავსტრალიელის, კლასიფიკაციაში 199-ე პოზიციაზე მყოფი მონიკა ადამჩაკის დამარცხება. ზავაიმ პირველი სეტი მოიგო, მეორე წააგო და მესამეშიღა გატეხა მეტოქის წინააღმდეგობა — 6:1 4:6 6:0 უნგრელის სასარგებლოდ.

თუ ჩახნაშვილი მეორე ბარიერსაც დაძლევს, მესამე და გადამწყვეტ წრეში მისი მეტოქე ან ესპანელი ლაურა პუოს ტიო იქნება, ან კიდევ უკრაინელი ვიქტორია კუტუზოვა.

საფრანსკისთან მატჩს დავუბრუნდეთ და ამ შეხვედრაში მაკას პირველი მოწოდების სიზუსტე 54 პროცენტს უდრიდა. ქართველმა პირველი მოწოდების 63, ხოლო მეორე მოწოდების 57 პროცენტი აქცია ქულებად; ერთი ეისი მოაწოდა, ხუთი ორმაგი და ამდენივე უნებლიე შეცდომა დაუშვა; 11 ბრეიკ პოინტიდან 6 გამოიყენა, ჯამში 64 ქულა მოიგო და ასე დაჯაბნა მეტოქე.

## მღელვარე მისკინა

**„როლან გაროსის"** 2004 წლის გამარჯვებული ანასტასია მისკინა ფაქტობრივად ნახევარწლიანი შესვენების შემდეგ პირველად გავა კორტზე და თანაც სწორედ პარიზულ თიხნარზე.

„მთელი თვეა ვემზადები „როლან გაროსისთვის", მაგრამ პირველი მატჩის წინ თავისთავად ძალიან ვღელავ და ვნერვიულებ, რადგანაც ამდენი ხანია, კორტზე არ გავსულვარ. ბოლოს ამ წლის 1 იანვარს ვითამაშე, ხუთი თვე კი ჩოგბურთში ძალიან დიდი დროა. კარგად მესმის, ბევრი უნდა ვიშრომო, საუკეთესო ოცეულის დონეს მაინც რომ მივაღწიო" — განაცხადა მისკინამ.

## აღარც მიურეი



**იმ ჩოგბურთელთა** სიას, რომლებიც წლევანდელ „როლან გაროსს" გამოტოვებენ, ენდი მიურეიც დაემატა. უფრო მეტიც, შესაძლოა, საბალახო სეზონისთვისაც ვერ მოასწროს გამოჯანმრთელება, ანუ შანსია უიმბლდონიც გამოტოვოს.

„ახლა არანაირი პროგნოზების გაკეთებას არ ვაპირებ და სისულელეც იქნება, რამე ვიწინასწარმეტყველო. მხოლოდ ის ვიცი, რომ მალე ექიმს შევხვდები და გავარკვევ, მოვასწრებ თუ არა საუიმბლდონოდ მაჯის მორჩენას" — ბრძანა დაწუხრებულმა მიურეიმ.

## სამპრასი VS ფედერერი

პიტ სამპრასი მაშინ წავიდა სპორტიდან, როცა როჯერ ფედერერი მხოლოდ იწყებდა საჩოგბურთო ოლიმპისკენ სვლას. სწორედ ამიტომ, ამ ორი დიდი ჩოგბურთელის გზა თითქმის არ გადაკვეთილა — ისინი მხოლოდ ერთხელ, 2001 წელს დაეტაკნენ ერთმანეთს, უიმბლდონის მეოთხედფინალში და მაშინ ახალგაზრდა შვეიცარიელმა სენსაციურად მოუგო ამერიკელს.

ფედერერის უკანასკნელ წლებში მიღწეული ფანტასტიკური წარმატებების შემდეგ არაერთხელ შემდგარა დავა ჩოგბურთის სპეციალისტებსა თუ უბრალო გულშემატკივრებს შორის — მაინც რომელი უფრო დიდია, ფედერერი თუ სამპრასი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ისე, რომელიმე ამ ჩოგბურთელის გულშემატკივრების გულისწყრომა რომ არ გამოიწვიოს, შეუძლებელია, მაგრამ მათ და ზოგადად ყველა ჩოგბურთის მოყვარულს ნოემბერში საშუალება ექნება, ეს ორი დიდი ჩოგნის მქნეველი ერთმანეთს უშუალოდ კორტზე შეადაროს.

მოკლედ, ნოემბერში აზიის სამ ქალაქში ფედერერი და სამპრასი სამ შეხვედრას გამართავენ. მატჩები სეულში, კუალა-ლუმპურში და მაკაოში შედგება.

## რუსმა ავსტრიელობა მოინდომა

**მსოფლიოს** მეოთხე ჩოგან ნიკოლაი დავიდენკოს ავსტრიის მოქალაქეობა მოსდომებია. მოსკოველმა საამისო საბუთები უკვე გაამზადა და შესაბამის სამსახურებსაც მიმართა. თან კოლია რუსული პასპორტის შენარჩუნებასაც აპირებს.

„ავსტრიაში ვარჯიშისთვის გაცილებით კარგი პირობებია, ვიდრე რუსეთში. თან ავსტრიული პასპორტით უფრო გამიადვილდება მსოფლიოში მოგზაურობა" — ასე ხსნის თავისი გადაწყვეტილების მოტივებს დავიდენკო. ის პირველად არ ცდილობს უცხოური მოქალაქეობის მიღებას — 2000 წელს რუსს გერმანული პასპორტის აღებაც უცდია, მაგრამ ამას ყური არავინ ათხოვა. ვნახოთ, რას იზამენ ავსტრიაში.



**კახა ლომჯაშვილი**



## პლეი ოფი. ნახევარფინალი

## დასავლეთი

## დეტროიტი 2:4 ანაჰაიმი

**მეექვსე მატჩი**

**ანაჰაიმი 4:3 დეტროიტი**

*1:0 2:0 1:3*

1:0 რ. ნიდერმაიერი (4, უმც. პრონგერი, ოდონელი), 2:0 პერი (30, ბუშემინი, გეცლაფი), 3:0 გეცლაფი (39, უმრ. მარჩანტი, სელიანე) 3:1 ზეტერბერგი (44, ჩელიოსი, სამუელსონი), 4:1 პალსონი (46, რ. ნიდერმაიერი, მოენი), 4:2 დაციუკი (51, უმრ. ლიდსტრომი, სამუელსონი), 4:3 დაციუკი (57, უმრ. ზეტერბერგი, სამუელსონი)



AFP

# იხვები ფინალში შევიჭვიტდნენ

**„ანაჰაიმმა"** თავის 14 წლიან ისტორიაში მეორედ მოახერხა სტენლის თასის ფინალში გასვლა და კიდევ ერთხელ ეცდება საკლუბო სპორტის უძველესი ჯილდოს მოგებას. კალიფორნიულმა გუნდმა ეს უფლება გუშინ „დეტროიტის" დამარცხებით მოიპოვა.

ამ მეტად დაძაბულ, საინტერესო და უაღრესად თანაბარ სერიაში „იხვების" წარმატების მიზეზად ის იქცა, რომ კალიფორნიულმა გუნდმა თავისი შანსები გაცილებით ნაყოფიერად გამოიყენა. „წითელფრთიანებს" კიდევ კარგა ხანს გაჰყვებათ ლამის კოშმარად სერიის მეოთხე მატჩი, როცა ყველა კოზირი ხელთ ჰქონდათ და თავისუფლად შეეძლოთ ფინალის საგზურის ფაქტობრივად განაღდება — „დეტროიტი" სერიაში 2:1-ს იგებდა და კრის პრონგერის გარეშე მყოფ „ანაჰაიმს" ეთამაშებოდა, მაგრამ მიჩიგანელებმა ვერ გამოიჩინეს მკვლელის ინსტინქტი და თითქმის ჩაძირულ „იხვებს" წყალზე გაჩერების საშუალება მისცეს.

კალიფორნიელებმაც ამით მშვენივრად ისარგებლეს, ჯერ ანგარიში გაათანაბრეს, შემდეგ დეტროიტში კიპერ ჟან-სებასტიან ჟიგერის დიდებული თამაშის წყალობით დაწინაურდნენ და გუშინ სერია სათავისოდაც დაამთავრეს. „ანაჰაიმმა" დიდებულად დაიწყო და პირველ ორ პერიოდში სამი უპასუხო შაიბა გაუტანა სტუმრებს. თითქოს აქ ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, მაგრამ... მესამე პერიოდში „დეტროიტმა" ისეთი შტურმი მოაწყო მეტოქის კართან, რომ „ანაჰაიმი" ხერიანად თავისი ზონიდან გამოღწევასაც კი ვერ ახერხებდა. მართალია, სამუელ პალსონმა მეოთხედაც შეაგდო, რასაც სტუმრები საბოლოოდ უნდა დაეწყნარებინა, მაგრამ ნურას უკაცრავად — პაველ დაციუკის დუბლითა და ჰენრიკ ზეტერბერგის გასროლილით „დეტროიტმა" მინიმუმდე დაიყვანა სხვაობა და სულ ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდა, ანგარიშსაც გაათანაბრებდა. მარტო უკანასკნელ სამწუთეულში მიჩიგანელებმა იმდენი მომენტი შექმნეს, ბარე სამ მატჩს ეყოფოდა, მაგრამ... ხან ჟიგერი ბრწყინავდა, ხან საქმეში ძელები ერთვებოდნენ, ხანაც ბედი აშკარად მასპინძლების მხარეს იყო — ორჯერ შაიბამ ზედ კარის ხაზზე გაისრიალა, მაგრამ მისი გადაკვეთა არ ინება.

მოკლედ, თითქოს ტრიუმფალური მოგება „ანაჰაიმს" ლამის კატასტროფად ექცა. მასპინძელთა სათადარიგო სკამიდან მთელი მესამე პერიოდი დაზაფრული სახეები იცქირებოდნენ.

„მესამე პერიოდში კინაღამ გული გამისკდა. ასეთი კოშმარული 20 წუთი კარიერაში არასოდეს მქონია" — განაცხადა ნამატჩევს 37 წლის ფინელმა ტეემუ სელიანემ.

ასეა თუ ისე, „ანაჰაიმი" ფინალშია და ყველანაირად ეცდება, ის არ განმეორდეს, რაც 2003 წელს მოხდა — მაშინ კალიფორნიელებმა 4:3 წააგეს „ნიუ ჯერსისთან". თუმც ამჯერად მოედნის უპირატესობა „იხვებს" ექნებათ და „ოტავას" პირველად სამშაბათს გამთენიისას უმასპინძლებენ.

**კახა ლომჯაშვილი**

## 90-ე ჯირო დიტალია. 12 მაისი — 3 ივნისი

# ვარდისფერი ლიქუიგასი



AFP

**ბენუის** სიახლოვეს, ლიგურიის ზღვისა და მისი მიმდებარე ლანდშაფტის ბრწყინვალე პეიზაჟების ფონზე ჩაიარა „ჯიროს" მე-10 ეტაპმა, რომელიც წლევანდელ რბოლაში სიგრძით მეორე იყო და მხოლოდ 4 კილომეტრით ჩამორჩება უგრძეს, მეშვიდე ეტაპს.

ამ 250-კილომეტრიან გზაზე ერთი მეორე და ორიც მესამე კატეგორიის მთა იყო. ამათგან ბოლო საფინიშოც გახლდათ და ეტაპის გამარჯვებულის ვინაობა სწორედ იქ, ბოლო, საკმაოდ მკვეთრ აღმართში გაირკვა. მანამდე კი იყო ექვსკაციანი ჯგუფის გაქცევა და ამ ექვს კაცში იყო „დისქავერის" ამერიკელი ჯორჯ ჰინკეიპიც, რომელიც ნამდვილად არ გახლავთ ხელწამოსაკრავი მრბოლი და, როდესაც წინ მყოფთა უპირატესობამ ოთხნახევარ წუთს უწია, პელოტონიც ამუშავდა.

ველოქარავანს „ლიქუიგასის" ხალხი ჩაუდგა თავში და ფინიშამდე 9 კილომეტრით ადრე გაქცეულები ერთ წუთსღა იგებდნენ. თანაც, ამ დროისთვის წინ მყოფნი ოთხნიღა იყვნენ და ამ ოთხეულიდან კოლუმბიელმა ივან რამირო პარამ სცადა შეტევის წამოწყება და ერთხანს ეულადაც გაიჭრა წინ, მაგრამ „ლიქუიგასმა" პელოტონიდან დანილო დი ლუკა გაისროლა და მას ცოტა ხანში უკან უაღრესად სინქრონულად მომუშავე „სონი დიუვალმა" ვეტერანი ლეონარდო პიეპოლი დაადევნა. ამ უკანასკნელს კვალში ახალგაზრდა ლუქსემბურგელი ენდი შლეკი ჩაუდგა და მალა პარაც უკან დარჩა და ჰინკეიპისაც გამოელია არაქათი.

35 წლის პიეპოლიმ კი ბოლო კილომეტრები ერთი ამოსუნთქვით აიარა და შარშანდელ „ჯიროზე" მოგებულ ორ ეტაპს წლეულს მესამე დაამატა. დი ლუკა თანამემამულეს 18 წამით ჩამორჩა, შლეკი — 27 წამით და მერე კი ფინიშს გამარჯვებულის თანაგუნდელებმა ჯილბერტო სიმონიმ და რიკარდო რიკომ უწიეს, ხოლო ამათ ძველი ჩემპიონები პაოლო სავოლდელი და დამიანო კუნეგო მიჰყვნენ.

საერთო ჩათვლის ლიდერი მარკო პინოტი უიმედოდ, ოთხნახევარი წუთით ჩამორჩა და ვარდისფერი მაისურა ანდრეა ნოემ მოირგო, ვინც ფრანკო პელიცოტისა და დი ლუკას შემდეგ მესამე „ლიქუაგასელი" გახდა, წლევანდელი „ჯიროს" თავში რომ მოექცა.

თავად დი ლუკა ჯერჯერობით მერვეა და თანაგუნდელთან 2 წუთსა და 58 წამს აგებს. შლეკი, კუნეგო, პიეპოლი და სავოლდელი ლიდერს ოთხიდან ხუთ წუთამდე ინტერვალში ჩამორჩებიან, ხოლო ორგზის ჩემპიონ სიმონის ნოე 5 წუთსა და 24 წამს უგებს.

**მე-10 ეტაპი. ჭამაიორე — სანტუარიო ნოსტრა სინიორა დელა გუარდია. 250 კმ**

| | |
|---|---|
| 1 ლეონარდო პიეპოლი (იტალია, „სონი დიუვალი") | 6 სთ 19 წთ 07 წმ |
| 2 დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი") | +18 წმ |
| 3 ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | +27 წმ |
| 4 ჯილბერტო სიმონი (იტალია, „სონი დიუვალი") | +32 წმ |
| 5 რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი") | +41 წმ |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1 ანდრეა ნოე (იტალია, „ლიქუიგასი") | 46 სთ 0 6წთ 09 წმ |
| 2 მარსიო ბრუსეგინი (იტალია, „ლამპრე") | +1 წთ 08 წმ |
| 3 დავიდ აროიო დურანი (ესპანეთი, „კაისე დეპარგნი") | +1 წთ 15 წმ |
| 4 ფრანსისკო ვილა ერანდონეა (ესპანეთი, „ლამპრე") | +1 წთ 38 წმ |
| 5 ევგენი პეტროვი (რუსეთი, „ტინკოფი") | +1 წთ 48 წმ |



# ტიასაც გადავახტები და სტეფკასაც



**ხორვატი** სიმაღლეზე მხტომელი ბლანკა ვლასიჩი გადასარევ სეზონს ატარებს. სამძლეოსნო წელი ჯერ ხეირიანად არც დაწყებულა, ორიოდ კვირაა, მძლეოსნები დარბაზებიდან გამოვიდნენ და ცისქვეშა სტადიონებზე აათამაშეს კუნთმაგარი კიდურები და უკვე აქედანვე ჩანს, რომ ქალთა სიმაღლეში ხტომაში დიდი რკენა გაიმართება. შარშანდელი სეზონის ლიდერს, ბელგიელ ტია ელებოს სერიოზული კონკურენტი ჩამოუყალიბდა ხორვატი კალია-გოგოს სახით.

ვლასიჩი უკვე ფლობს სეზონის რეკორდს, ერთი კვირის წინ ყატარის დედაქალაქ დოჰაში 204 სანტიმეტრს გადაევლო, ორი დღის წინ კი მან მშობლიურ ხორვატიაში კიდევ ერთხელ ანიშნა ტიას, კარგ ფორმაში ვარ და სადაც შეგხვდები, იქ გაჯობებო. მართალია, ახლა სპლიტში ის მხოლოდ 2 მეტრით შემოიფარგლა, მაგრამ ისე იოლად დაძლია ეს სიმაღლე, რომ აშკარად ჩანდა, მეტიც შეეძლო. თავადაც ამბობდა მოგვიანებით, ვარჯიშზე ცოტა აქილევსის მყესმა შემაწუხა და მოვერიდე, თორემ 205 სანტიმეტრსაც გადავახტებოდიო. მერე კი დასძინა, თანაც სეზონის ამ ეტაპზე 205 ნამეტანი სიმაღლეა, ცოტა ეშხში შესვლა ხომ უნდა ვაცადოთ პუბლიკასო.

ვლასიჩი წლეულს არა მხოლოდ ელებოს ჯობნას გეგმავს, დიდი შანსია, მან მსოფლიო რეკორდს, 210 სანტიმეტრსაც შეუტიოს. სადღეისოდ რეკორდი 209 სანტიმეტრია, რომელიც აწ პენსიაზე გასულ ბულგარელ სტეფკა კოსტადინოვას ეკუთვნის.

**ქოტე ყორშია**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# მარკო ანტონიოს ბოლო შანსი

**სამ წონით** კატეგორიაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, ბოლო ათწლეულის ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა მოკრივემ, მექსიკელმა მარკო ანტონიო ბარერამ განაცხადა, რომ დაასრულებს თავის კარიერას, თუ წლეულს ფილიპინელ მენი პაკიაოს მატჩ-რევანშში ვერ შეხვდება.

ბარერა და პაკიაო ერთმანეთს 2003 წლის ნოემბერში დაუპირისპირდნენ. მაშინ მექსიკელის სეკუნდანტებმა მე-11 რაუნდში გამოფინეს თეთრი პირსახოცი და თავიანთი ყოჩის მარცხი აღიარეს. მას შემდეგ ბარერას მუდმივად სწადდა მატჩ-რევანში, მაგრამ მისი ჩატარება დღემდე ვერ მოხერხდა.

ახლა ყველაფერი პაკიაოსა და მის პრომოუტერ ბობ არუმზეა დამოკიდებული. როგორც არუმმა ბრძანა, პაიკიო უახლოეს ორთაბრძოლას 6 ოქტომბერს გამართავს და შესაძლო მოწინააღმდეგეთა შორის ბარერაც ახსენა. მექსიკელის გარდა ფილიპინელის სავარაუდო მეტოქეთა სიაში ელვინ ვალერო, ხუან გუსმანი და უმბერტო სოტო არიან.

# მეფე ბრუნდება

## როი ჯონსი ისევ აპა რინგზე

**ვერ ისვენებს** როი ჯონსის ბობოქარი სული. ბოლო ოცწლეულის, ალბათ საუკეთესო მოკრივე კარგა ხანია, ძველი დიდების აჩრდილიღაა, მაგრამ რინგს და ხელთათმანებს მაინც ვერ ელევა.



ქვემძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი ერთი ხანობა მძიმე წონის საჩემპიონო ქამრითაც იწონებდა თავს, მაგრამ წლებს თავისი მიაქვს და ერთ დროს უძლეველმა ჯონსმა რამდენიმე მტკივნეული მარცხი იგემა.

გული მაინც რინგისკენ მიუწევს, თანაც უცნობ, რიგით ხალხთან მუშტების ქნევა კი არა, ნამდვილი ჩხუბი უნდა და აჰა, როგორც ცნობილი გახდა, 14 ივლისს როი თავის თანამემამულეს, დღემდე დაუმარცხებელ ენტონი ჰენშოს დაეტაკება.

ამ ორთაბრძოლის შესახებ პირველი ცნობები მარტში გაჩნდა, მაგრამ მაშინ ჯონსს ფინანსური მხარე არ მოეწონა. ახლა კი ძველ ჩემპიონს, როგორც ჩანს, მადაც დაუკმაყოფილეს და ყველაფერი შეთანხმებულია.

მომავალი ჩხუბის სლოგანი კი მართლაც მიმზიდველად ჟღერს: „ის დაბრუნდა. გახდი მეფის დაბრუნების მოწმე!"



# განაჩენი საბოლოოა

**გუშინ** ხელბურთის ეროვნულმა ასოციაციამ განიხილა „თბილისის" საჩივარი მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეორე სუპერფინალური მატჩის თაობაზე. „თბილისის" მწვრთნელმა მამუკა მჟავანაძემ ბოლო წამებზე მომხდარი, სადავო ეპიზოდები გააპროტესტა. მანვე უკმაყოფილება გამოთქვა თამაშის დელეგატად მერაბ მეტრეველის დანიშვნაზე.

„თბილისის" მიერ შეტანილი საჩივარი განიხილეს — ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კაკაბაძემ, საშეჯიბრო კომისიის თავჯდომარე ვახტანგ ბერიაშვილმა, ვიცე-პრეზიდენტმა თამაზ თევზაძემ და მერაბ მეტრეველმა. განხილვას ესწრებოდნენ მომჩივანი „თბილისის" წარმომადგენლები — მწვრთნელი მამუკა მჟავანაძე და პრეზიდენტი ელიზბარ არსენაშვილი.

კომისიამ ვიდეოზე ნახა სადავო ეპიზოდი, რომლის გამოც მჟავანაძე პენალტის დანიშვნას ითხოვდა. გამეორებაზე გამოჩნდა, რომ მწვრთნელის პროტესტი უსაფუძვლო იყო. პენალტი არ ყოფილა.

კომისიამ პასუხი გასცა მჟავანაძის მიერ წამოჭრილ მეორე საკითხსაც მერაბ მეტრეველის დელეგატობის თაობაზე. ფინალის მიმდინარეობას თამაზ თევზაძე უნდა დაკვირვებოდა, თუმცა გამოუვალი სიტუაციის გამო თავიდანვე თამაშს ვერ დაესწრო. სადავო ეპიზოდის დროს კი ტრიბუნაზე უკვე ორივე დელეგატი იჯდა.

**ლევან მაისურაძე**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
## ფინალი. ათენი. „ოლიმპიური“

## მილანი (იტალია) 2:1 ლივერპული (ინგლისი)

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია). 70 000 მაყურებელი

1:0, 2:0 ინძაგი (45, 82), 2:1 კუიტი (89)

**მილანი** — მწვრთნელი კარლო ანჩელოტი

1 დიდა

44 ოდო, 13 ნესტა, 3 მალდინი, 18 იანკულოვსკი

8 გატუზო, 21 პირლო, 23 ამბროზინი

22 კაკა, 10 ზეედორფი

9 ინძაგი

**ლივერპული** — მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი

18 კუიტი

8 ჯერარდი

32 ზენდენი, 16 პენანტი

20 მასკერანო, 14 ხაბი ალონსო

6 რიისე, 5 აგერი, 23 კარაგერი, 3 ფინანი

25 რეინა

შეცვლა: ზენდენი – 7. კიუელი (59), მასკერანო – 15. კრაუჩი (78), იანკულოვსკი – 4. კალაძე (80), ფინანი – 2. არბელოა (88), ინძაგი – 11. ჯილარდინო (88), ზეედორფი – 19. ფავალი (90)

გაფრთხილება: გატუზო (40), იანკულოვსკი (54), მასკერანო (58), კარაგერი (60)

| | | |
|---|---|---|
| 15 | ჯარიმა | 27 |
| 4 | კუთხური | 6 |
| 1 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 3 | კარში დარტყმა | 4 |
| 3 | თამაშგარე | 3 |



ფილიპო ინძაგი და კაკა

AFP



AFP

# დიდი კახალისობა ათენში!

**კახა კალაძე** ჩემპიონთა ლიგის ორგზის გამარჯვებულია!

„მილანმა“ მეშვიდედ მოიგო ჩემპიონთა თასი!

მატჩის შემდეგ მედლების მისალებად ვიპ-ლოჟისკენ მიმავალ ინგლისელებს მილანელებმა მორაგბეთა დიდებული წესის დარად საპატიო დერეფანი გაუკეთეს!

ნათქვამია, რაც უმთავრესია, გულსა და გონებას პირდაპირ, ფიქრის გარეშე აწვებაო. ჰოდა, ჩვენც პირველი შთაბეჭდილებების დასაწერად ემოციის გაცივებას და დეტალების ფიქრით მოწესრიგებას აღარ დაველოდეთ და „სხაპა-სხუპით“ ჩამოვწერეთ ის სამი რამ, რითაც ამ მოკლე მიმოხილვას ვიწყებთ.

ახლა კი დანარჩენზე: რაფა ბენიტესმა „მილანის“ დასამლევად 4-5-1 განლაგება არჩია. „ლივერპულის“ მწვრთნელმა ერთადერთ ნომინალურ ფორვარდად დირკ კუიტი გაამწესა, მის უკან, „მთავარ ყველაფრად“ კი, ბუნებრივია, სტივენ ჯერარდი დააყენა. კარლო ანჩელოტის ვარიანტი უფრო 4-4-1-1 გახლდათ, ანუ წინ ფილიპო ინძაგი, ცოტა უკან კაკა, კიდევ უკან კი ნახევარმცველთა და მცველთა ორი ოთხეული. აქვე ვიტყვით იმას, რაც რასაკვირველია, არაფერზე მეტყველებს, მაგრამ საინტერესოა: „მილანის“ შემადგენლობაში ორი წლის წინანდელი ფინალის 7 მონაწილე გამოდიოდა, „ლივერპულისაში“ კი ხუთი.

პირველივე წუთებიდანვე ნათელი შეიქნა, რომ ბენიტესის გუნდი მეტოქეს „ფეხზე დააჯდა“ და ბურთის ხელში ჩაგდებას მეტოქის ნახევრიდანვე ცდილობდა, „მილანი“ კი იმავე ბურთის წართმევისას ნაკლებად აგრესიული იყო. ხაზს ვუსვამთ, „შავ-წითლები“ პასიურები კი არ იყვნენ, „ლივერპულზე“ ნაკლებად აგრესიულნი გახლდნენ, რაც თამაშს დაეტყო — ვფიქრობთ, მატჩის საკმაოდ დიდი მონაკვეთების განმავლობაში მოედნის შუაში უპირატესობა პრემიერლიგელებისა იყო. ორმხრივ ფრთხილ შეხვედრაში (მით უფრო პირველ ტაიმში) მომენტები, ბუნებრივია, უამრავი არ იყო და ვერც იქნებოდა, მაგრამ უფრო მეტი მაინც „ლივერპულს“ ჰქონდა: თავიდან კლარენს ზეედორფმა მარეკ იანკულოვსკის უხერხულად მიაწოდა ბურთი, რომელიც ჩეხმა ვერ გააჩერა, კუიტს „გაატანა“, ჰოლანდიელმა კი ჯერმენ პენანტს მისცა და სახიფათოდ შეაგზავნა მეტოქის საჯარიმოში, მაგრამ პენანტის დარტყმული ჯერ დიდამ მოიგერია, შემდეგ კი ალესანდრო ნესტამ გამოიტანა სახიფათო ადგილებიდან. ერთი ხნის შემდეგ მილანელთა დაცვამ — მათ შორის კაპიტანმა პაოლო მალდინიმ, რომელმაც ამ დღეს რეკორდი დაამყარა: 38 წლისა და 338 დღისა შეიქნა ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი, ვისაც ჩემპიონთა თასის ფინალში უთამაშია — ვერ განმუხტა მეტოქის შეტევა და ხაბი ალონსომ დაარტყა სახიფათოდ. ამის პასუხად კაკას ერთ დარტყმას ვიხსენებთ, პეპე რეინა რომ გადახტა და ხელში ისე რომ დაიჭირა, მაგრამ თამაშის საერთო სურათი ერთია, 45-ე წუთზე ანდრეა პირლოს მიერ საჯარიმო დარტყმითა და ფილიპო ინძაგის რიკოშეტით გატანილი გოლი კი მეორე: „მილანი“ დაწინაურდა!

შესვენების შემდეგ თავიდან ისევ „მილანის“ კართან შეიქმნა სახიფათო მომენტი — ჯენარო გატუზომ მეტოქეს, სტივენ ჯერარდს მიაწოდა პასი. ჯერარდს ნესტამ ვერ წაართვა ბურთი, რაც საბოლოოდ ინგლისელის საჯარიმოში შესვლითა და მეკარე დიდას მორიგი ყოჩაღობით დასრულდა.

ვინაიდან მიმოხილვა, რომელსაც ახლა ეცნობით, მიზნად თამაშის დაწვრილებით აღწერას არ ისახავს, ნახევარმომენტების მოყოლით თავს აღარ შეგაწყენთ და იმას მოგახსენებთ, რომ 82-ე წუთზე კაკამ პიპო ინძაგი გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, ხოლო ვეტერანმა მეორედ დალაშქრა ლივერპულელთა კარი.

უშუალოდ მატჩის დამთავრების წინ დანიელ აგერმა კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი საჯარიმოს გადაღმა დირკ კუიტისკენ გადაგზავნა, კუიტმა კი სხვაობა შეამცირა, მაგრამ ორი წლისგან განსხვავებით „ლივერპულს“ მეტის ძალა და დრო აღარ ეყო.

„ეს ჩემი მეხუთე თასია. ეს დიდებულია, კარიერის უკეთეს დასრულებაზე კაცი ვერც იოცნებებს, მაგრამ მაინც მინდა, ერთი წელიწადი კიდევ დავყო მინდორზე და გაისად ამ დროს ერთი ფინალიც ვითამაშო“ — უთხრა მალდინიმ მატჩის შემდეგ ტელეკომპანია sky sport-ს.

იმავ კომპანიას „ლივერპულის“ კაპიტანმა ჯერარდმა განუცხადა: „ძნელია მარცხთან შეგუება, მაგრამ ეს ფეხბურთია. როგორმე უნდა გავუძლოთ, თუმცა იმედგაცრუება ძალიან დიდია“.

და ბოლოს იმაზე, რითიც დავიწყეთ და რაც ჩვენთვის, ვფიქრობთ, ყველაზე მთავარი იყო: კახა კალაძე მოედანზე მე-80 წუთზე მარეკ იანკულოვსკის მაგივრად შევიდა, ბოლო 10-13 წუთს ღირსეულად დაეტყო და მატჩის შემდეგ თვით იტალიის ყოფილი პრემიერი სილვიო ბერლუსკონი აწია თასით ხელში.

**ბაჩუნა ძიდია**

### რუმინეთი
I ლიგა. XXXIV ტური

ჩაჰლაული 2:2 დინამო
კლუჟი 1:0 ფარული
ნაციონალი 4:0 რაპიდი
პეტროსანი 0:2 სტიაუა
ოცელული 3:1 პოლიტეხნიკა
პანდურიი 2:1 არჯეში
ტიმოშოარა 2:2 ვასლუი
უნირია 0:1 გლორია
უნივერსიტატია 2:1 არადი

### ამხანაგური მატჩები

სირია 2:0 სუდანი
ზიმბაბვე 3:1 ლესოტო

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა. VII ტური

ოულუ 1:3 ტურკუ
იარო 1:2 ჰონკა
ჰიკ 0:2 ტამპერე

### შვედეთი
თასის 1/16 ფინალი

*იოსტერსი* 3:1დ.დ.(1:1) იორებრო

### უკრაინა
ვიშა ლიგა. XXXVIII ტური

ტავრია 1:2 ზარია
ვორსკლა 2:2 მეტალისტი
შახტარი 2:2 დინამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
## ფინალი. ათენი. „ოლიმპიური“



AFP ათენიდან



მილანელებმა ჩემპიონთა თასი და კარლო ანჩელოტი ააზურთავეს

AFP ათენიდან




AFP ათენიდან



ჯერარდმა და გატუზომ თამაშამდეც იომეს და თამაშისასაც

AFP ათენიდან



„მატჩი“ ნამატჩევსაც გაგრძელდა: ვინ ვის ურტყამს, ღმერთმა იცის. საბერძნეთის პოლიციამ კი 128 ხულიგანი დააკავა



რონალდო და სილვიო ბერლუსკონი



მილანელებისგან დამწუხრებულ ხოსე რეინას სტრაიკერმაც მოუშალა ნერვები



ფილიპო ინძაგი — ხოსე რეინა 2:0

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელაია, ხათუნა ბუხუთიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge